ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა

დეკემბერი/2016 ▪ N15

მაღალმთიანი აჭარა

ნომერშია:

პრემიერ-მინისტრი „ბადაგონის“ საწარმოში

გვ. 3

Agro/Food/Drink/Tech 2016

გვ. 4

წარმატების ისტორიები

გვ. 7

გურიის რეგიონი - ანგარიში

გვ. 8–10

ქართული ღვინო

გვ. 11

რჩევა ფერმერისთვის - ციტრუსის მოყვანის ტექნოლოგია

გვ. 14–15

პარლამენტმა მთავრობას ნდობა გამოუცხადა

პარლამენტმა მთავრობას ნდობა გამოუცხადა

110 ხმით საქართველოს პარლამენტმა მთავრობას, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით და სამთავრობო პროგრამას - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, ნდობა გამოუცხადა.

ლევან დავითაშვილმა საქართველოს პარლამენტის წევრებს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა წარუდგინა

25 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრობის კანდიდატმა, ლევან დავითაშვილმა პარლამენტის წევრებს სამთავრობო პროგრამის „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა (2016-2020წ.)“ ფარგლებში, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით დაგეგმილი პროექტები და სამინისტროს სამომავლო ხედვები გააცნო.

როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულია: ექსტენციის გაძლიერება, ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების სტიმულირება, მაღალი ღირებულების მქონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, საქართველოში წარმოებული აგროსასურსათო პროდუქციისთვის ალტერნატიული ბაზრების გამოვლენა და დივერსიფიკაცია.

„სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები საქართველოს მთავრობის 4 პუნქტიან გეგმასთან შესაბამისობით შემუშავდა და შედეგად, ეკონომიკის განვითარებაში დარგის მხრიდან მნიშვნელოვან კონტრიბუციას ითვალისწინებს“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის აგროპოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება იქნება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დეგრადირებული ნიადაგების გამოკვლევას და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებებს; შემუშავდება სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებისა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე; სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას-შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო ბაზრების განვითარებას; გაგრძელდება და დაიხვეწება აგროდაზღვევის პროექტი; 2017 წლის ბოლოსათვის 165 ათას ჰექტრამდე გაიზრდება მელიორირებული მიწების ფართობები; მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დარგში დასაქმებულთა ცოდნის ამაღლებას, აგრობიზნესზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას და ექსტენციის შესაბამისი პაკეტების შემუშავებას; გაგრძელდება მუშაობა ფერმერებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით; მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად.

კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მინისტრობის კანდიდატებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. პარლამენტის წევრებმა ლევან დავითაშვილს მიმართეს კითხვებით, რომლებიც ქართული ღვინის ექსპორტს და ბაზრების დივერსიფიკაციას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობ ღონისძიებებს, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის მნიშვნელობას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობას, ასევე სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების ხელშემწყობი პროექტების მიმდინარეობის საკითხებს შეეხებოდა. სოფლის მეურნეობის მინისტრობის კანდიდატმა, ლევან დავითაშვილმა დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

ჩინეთის ბაზარზე „ბადაგონი“ 5 მლნ ბოთლ ღვინოს გაიტანს

პრემიერ-მინისტრმა ღვინის კომპანიას „ბადაგონი“ 10 წლის იუბილე მიულოცა

ქართული ღვინის ისტორიაში პირველად, ჩინეთის ბაზარზე „ბადაგონის„ 5 მილიონი ბოთლი ღვინის რეალიზაცია განხორციელდება, - შესაბამისი მემორანდუმი, კომპანიასა და ჩინურ კორპორაციას - Wenzhou Bydoway Import & Export Co-ს შორის 28 ნოემბერს, სოფელ ხოდაშენში, „ბადაგონის” ღვინის ქარხანაში გაფორმდა. ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ლევან დავითაშვილთან ერთად დაესწრო.

მთავრობის მეთაურმა „ბადაგონს“ 10 წლის იუბილე მიულოცა და წარმატებები უსურვა. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მთავარი, რაც კომპანიას, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო დანადგარებსა და ტექნიკური დონესთან ერთად გამოარჩევს, არის ის, რომ „ბადაგონში” ყველაზე კარგად არის შერწყმული ქართული მეღვინეობის, ქართული ღვინის წარმოების საუკეთესო ტრადიციები და თანამედროვე ტექნოლოგიები.

„სწორედ ამ სინერგიის ხარჯზეა შესაძლებელი ქართული ღვინის წარმატება და იმ ნიშაში დამკვიდრება, რომელიც ჩვენ ღვინოს ნამდვილად სამართლიანად ეკუთვნის და ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პრემიუმ ნიშა. ქართული ღვინო არ არის მხოლოდ ფართო მოხმარების საგანი და ის აუცილებლად უნდა იყოს პრემიუმ ნიშაში, იქიდან გამომდინარეც, რომ საქართველო არის მეღვინეობის აკვანი, ასეა ცნობილი და ესეც ნამდვილად სამართლიანია. ქართული ქვევრი გახლავთ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში და ეს აღიარებულია „იუნესკოს“ მიერ, რაც ძალიან დიდი მიღწევაა“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მსოფლიო ბაზრებზე ქართული ღვინის თავიდან დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეში ისტორიული როლის შესრულებისთვის პრემიერმა მეუფე დავით ალავერდელს და კომპანია „ბადაგონის“ წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს, „ბადაგონის“ ღვინის ექსპორტი მსოფლიოს 32 ქვეყანაში ხორციელდება. პრემიერის თქმით, მთლიანობაში, ქართული ღვინის ექსპორტი, გასული წლის განმავლობაში, 28%-ით გაიზარდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. გიორგი კვირიკაშვილმა კომპანია „ბადაგონს” ჩინურ კომპანიასთან 5 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტის შესახებ მემორანდუმის გაფორმება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ დოკუმენტი

უახლოეს მომავალში განახლებას მოითხოვს და მასში ახალი რიცხვები ჩაიწერება.

„ეს არ არის დასასრული ქართული ღვინის ექსპორტისა ჩინეთში, რომელიც ამოუწურავი შესაძლებლობების ბაზარია. ჩინეთთან, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები დავასრულეთ და იმედი გვაქვს, მას ხელი მალე მოეწერება. ჩვენ მიღებული გვაქვს ჩინეთის კომერციის მინისტრის, გაო ჰუჩენგის თანხმობა, რომ შეთანხმება, ღვინის ნაწილში, ხელმოწერისთანავე ამოქმედდება. ვფიქრობთ, ეს ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობას ჩინურ ბაზარზე რამდენჯერმე აამაღლებს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის ტენდენციები ჩინეთთან, რომლებშიც ვიმყოფებით. წელს დაგეგმილი გვქონდა 3-3,5 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი ჩინეთის ბაზარზე და დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ნოემბრის მონაცემებით, ექსპორტმა 4 მილიონ 800 ათას ბოთლს გადააჭარბა, ანუ, წლის ბოლოსთვის, ექსპორტი 5 მილიონზე მეტი იქნება“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ „ბადაგონსა“ და ჩინურ კომპანიას შორის გაფორმებული მემორანდუმის გათვალისწინებით, მომავალ წელს, ამ მიმართულებით, კიდევ უფრო პოზიტიურ დინამიკას უნდა ველოდოთ.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მისასალმებელია, რომ საფუძველი ეყრება „ბადაგონის“ ახალი ღვინის ბრენდს - GAU5. პრემიერი ახალი სავაჭრო ნიშნის წარმატებაში დარწმუნებულია. „დარწმუნებული ვარ, ის წარმატებული იქნება ჩინეთის ბაზარზეც, რომელსაც ჩვენ ასე ვესწრაფვით, გამომდინარე იმ უდიდესი პოზიტივიდან, რაც ამ ბაზრის დივერსიფიკაციას მოაქვს. ეს უკვე იქნება აბსოლუტურად სტაბილური საექსპორტო ბაზარი საქართველოსთვის”, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, მეღვინეობის ხელშეწყობა მთავრობის პრიორიტეტია - 2012 წლიდან დაიწყო მეღვინეობის ნახალისების კომპლექსური პროგრამა, რთველის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, სუბსიდირებისა და აგროსესხების პროგრამა, რომელმაც შედეგად ვენახების ფართობის ზრდა მოიტანა.

„არ მინდა გადავიდე შედარებებში, რა ხდებოდა მანამდე, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს არის ის დადებითი ტენდენცია, რომელიც საქართველოსთვის მართლაც ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანია. თუ საქართველო გადარჩა, ეს იყო ჩვენი კულტურით და იმით, როგორ დაფოფინებდა ქართველი კაცი თავის ვენახს. ვენახი საქართველოსთვის არ იყო მხოლოდ ერთ-ერთი ინდუსტრია, ეს იყო საქართველოს არსი, მისი კულტურის, ეროვნული თვითმყოფადობისა და იმ უდიდესი მემკვიდრეობის გამოხატულება, რომელსაც სხვანაირი მოვლა-პატრონობა სჭირდება. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანიც, როდესაც ჩვენ ვასუბსიდირებთ ყურძენს. დღეს აქცენტი გადატანილი გვაქვს ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე და ვფიქრობ, ის დადებითი პროცესი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, მომავალში კიდევ გაგრძელდება“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა კომპანიის ხელმძღვანელს, გიორგი სალაყაიას, მეუფე დავით ალავერდელს, რომელმაც ტრადიციული ღვინის აღორძინებაში ისტორიული როლი ითამაშა; „ბადაგონის” პარტნიორს, დონატო ლანატის - რომელსაც ევროპაში ქართული ღვინის ელჩი უწოდა; სოფლის მეურნეობის მინისტრს, ლევან დავითაშვილს, რომელმაც „ჯერ კიდევ ღვინის სააგენტოს ხელმძღვანელობიდან მოყოლებული, ქართული ღვინის სახელის საქართველოს ფარგლებს გარეთ გასატანად, ძალიან ბევრი რამ გააკეთა”, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან საპატიო სტუმარს და კახეთის რეგიონის გუბერნატორს, რომელიც ასევე „ჩართულია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და წარმოების მხარდაჭერაში”.

პრემიერ-მინისტრმა „ბადაგონის” ღვინის ქარხანაც დაათვალიერა და კომპანიის მიერ წარმოებული ღვინო დააგემოვნა.

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე–16 საერთაშორისო გამოფენა გაიმართა

30 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯია„ მე-11 და მე-6 პავილიონებში სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე–16 საერთაშორისო გამოფენა გაიმართა. გამოფენა Agro/Food/Drink/Tech 2016 საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯია“ ორგანიზებით და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ევროკავშირის პროგრამის ENPARD (ევროპული სამეზობლოს პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის) მხარდაჭერით ჩატარდა.

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა წარმოადგენს საქართველოში აგრო მიმართულების ერთადერთ მასშტაბურ ღონისძიებას, სადაც წარმოდგენილია სფეროში არსებული უახლესი ტექნოლოგიები, მიმდინარე ტენდენციები, მანქანა-დანადგარები და მომსახურება. ყოველწლიურად იზრდება როგორც გამოფენაში მონაწილე კომპანიების, ასევე გამოფენის ვიზიტორთა რაოდენობა. შესაბამისად, აღნიშნული გამოფენა წარმოადგენს ბიზნესის განვითარების და ახალი კონტაქტების დამყარების კარგ შესაძლებლობას.

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე–16 საერთაშორისო გამოფენა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა.

„ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში მაღალი სტანდარტის, ბიზნესზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი. ყოველივე ეს კი წარმოუდგენელია შესაბამისი ცოდნის, ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გარეშე. აღნიშნული გამოფენა წარმოადგენს აგრობიზნესის განვითარებისა და ახალი კონტაქტების დამყარების კარგ შესაძლებლობას. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ უკვე მეორე წელია გამოფენაში ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იღებენ მონაწილეობას. მისასალმებელია, რომ წელს მათი ჩართულობა უფრო მასშტაბურია. გამოფენაში მონაწილეობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი პროდუქცია გააცნონ მომხმარებელს, დაუკავშირდნენ კვების მრეწველობის პროფესიონალებს, ასევე მოიძიონ გასაღების ბაზრები, გაეცნონ და გაიზიარონ წარმატებული გამოცდილება“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არის ერთ-ერთი მიმართულება, სადაც ევროკავშირი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამეზობლო პროგრამით (ENPARD) ძალიან აქტიურად ეხმარება საქართველოს როგორც ფინანსურად, ასევე თანამედროვე განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. ლევან დავითაშვილმა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის მადლობა გადაუხადა ევროკავშირის წარმომადგენლობას, ასევე გამოფენის ორგანიზატორებს და ყველა მონაწილეს.

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე–16 საერთაშორისო გამოფენის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იოს დაუმა, იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი და ბელარუსის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მიხაილ მიატლიკოვი ესწრებოდნენ.

Agro/Food/Drink/Tech 2016-ის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ევროკავშირის პროგრამის ENPARD-ის მხარდაჭერით, უკვე მეორედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. წელს, საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯია“ მე-6 პავილიონში 40-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა (საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან) საკუთარი პროდუქცია - თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები, ჩაი, თხილი, ჩირი, ჩურჩხელა, ყველი, მწვანილი, ბოსტნეული, ხილი - წარმოადგინა.

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენაში 17 ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, სომხეთი, პოლონეთი, იტალია, უნგრეთი, ნიდერლანდების სამეფო, პორტუგალია, გერმანია, ლიტვა, თურქეთი, ისრაელი, რუსეთი, ნორვეგია, ჩინეთი, შვეიცარია) 150-მდე კომპანია მონაწილეობდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სასოფლო - სამეურნეო ტექნიკა, მანქანა–დანადგარები, ტარა და შესაფუთი მასალები, სასათბურე მეურნეობის ტექნოლოგიები და აღჭურვილობა, სარწყავი სისტემები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სარგავი და სათესლე მასალები, სასუქი და პესტიციდები, საკონსულტაციო მომსახურება და თანამედროვე ტექნოლოგიები, ასევე სასმელები და კვების პროდუქტები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „ექსპო ჯორჯიას“ ორგანიზებით, გასული წლების მსგავსად, გამოფენას ესწრებოდნენ მცირე ფერმერები საქართველოს ყველა რეგიონიდან. მათ საშუალება ჰქონდათ დაემყარებინათ პირდაპირი კონტაქტები მეწარმეებთან, გაცნობოდნენ ახალ ტექნოლოგიებს და სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე სიახლეებს.

Agro/Food/Drink/Tech 2016-ის გახსნის საზეიმო ცერემონიას სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი უწყების ხელმძღვანელი პირები, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფერმერთა ასოციაციის ახალი ინიციატივა - საქართველოში ფერმერთა სათათბირო შეიქმნება

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ფერმერთა ასოციაციის ახალი ინიციატივის პრეზენტაციას დაესწრო.

ფერმერთა ინტერესების უკეთ დაცვისა და საკანონმდებლო პროცესებში მათი ჩართულობის მიზნით, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ჩამოაყალიბოს ფერმერთა სათათბირო ორგანო, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალა გახდება მთავრობის მიერ ინიცირებული ისეთი კანონპროექტების შემუშავების პროცესში, რაც უშუალოდ ეხება ფერმერთა საქმიანობას, მათი როგორც მცირე მეწარმეების მდგომარეობის გაუმჯობესებასა თუ განვითარების ხელშეწყობას.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა მადლობა გადაუხადა ფერმერთა ასოციაციას, რომელმაც შეძლო და ერთად შეკრიბა ყველა ის ადამიანი, ვინც სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა.

„ნოემბრის თვე ჩვენთვის მნიშვნელოვანი თვეა, რადგან ამ პერიოდში მოსავლის ძირითადი ნაწილი ფაქტობრივად დაბინავებულია და გვაქვს მცირე დრო, რომ შევიკრიბოთ, ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ვიმსჯელოთ და ერთმანეთს აზრები გავუზიაროთ. ჩვენი ინიციატივით, 20 ნოემბერს ფერმერთა დღე აღინიშნება. სამწუხაროდ, წელს ფერმერთა დღის აღნიშვნა სათანადოდ ვერ მოხდა, თუმცა დღევანდელი ღონისძიება სწორედ ფერმერებს ეძღვნება და ეხმიანება ყველა იმ საკითხს - გამოწვევებსა და მიღწევებს, რაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ და ვიმსჯელოთ. ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ იმ მნიშვნელოვან ინიციატივას, რომელიც ფერმერთა ასოციაციამ დღეს გააჟღერა. ევროკავშირის მხარდაჭერით და ფერმერთა ასოციაციის ინიცირებით ფერმერთა სათათბიროს ჩამოყალიბდება. ეს ხელს შეუწყობს დამატებითი საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნას, სადაც ერთი მხრივ, ფერმერებს ექნებათ საშუალება დააფიქსირონ და სახელმწიფოს მიაწოდონ თავიანთი აზრი, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საშუალება ექნება მიმდინარე პროგრამების და სამომავლო რეფორმებისა თუ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია ფერმერებამდე ეფექტიანად მიიტანოს“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, სამინისტრო ღიაა ნებისმიერი გადაწყვეტილების ფერმერებთან ერთად განხილვისა და მსჯელობისთვის.

„ჩვენ ვეცდებით დაგარწმუნოთ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეში. ამასთან, თქვენი მხრიდან მივიღებთ არგუმენტებს, მოვისმენთ ინფორმაციას პრობლემებზე და ერთად დავსახავთ მათი გადაჭრის გზებს. ჩვენი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში პრობლემა მხარეებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაშია. ამ მიმართულებით პროგრესი, რა თქმა უნდა, გვაქვს, თუმცა ფერმერთა სათათბიროს ფორმატში შესაძლებელი გახდება ეს კომუნიკაცია კიდევ უფრო ეფექტიანი გავხადოთ“, - აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

როგორც ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ნინო ზამბაზიძემ აღნიშნა ფერმერთა სათათბირო ორგანო უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ფერმერთა აქტიურ ჩართულობასა და მთავრობასთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებას.

„ფერმერთა სათათბიროს წევრობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს და აუცილებლად მეხუთეს. ეს კრიტერიუმებია:

1. აგრარულ სექტორში მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერი, რომელიც აწარმოებს და ყიდის საკუთარ პროდუქციას);
2. მოქმედი კოოპერატივის წევრი/თავმჯდომარე;
3. აგრო საწარმოს ან დარგობრივი ასოციაციის წევრი/ხელმძღვანელი;
4. წარმომადგენელი უნდა იყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე და ეკონომიკურ (ფერმერულ) საქმიანობას ახორციელებდეს შესაბამის ტერიტორიულ არეალში;
5. სათათბიროს წევრი არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

ფერმერთა სათათბიროს შემადგენლობაში შევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 58 მუნიციპალიტეტის 116 წარმომადგენელი. თითოეული მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იქნება 2 წევრით - აქედან ერთს დაასახელებს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის საბჭო, მეორეს კი თავად საბჭოს მიერ არჩეული წევრი“, - განაცხადა ნინო ზამბახიძემ.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვის მიზნით, საბჭოს მიერ სათათბიროს წევრობაზე არჩეულმა პირმა უნდა დაასახელოს საწინააღმდეგო სქესის მეორე წევრი. საბოლოო გადაწყვეტილებას სათათბიროს წევრად მიღების შესახებ იღებს ფერმერთა ასოციაციის საბჭო.

იქიდან გამომდინარე, რომ ფერმერები აცნობიერებენ იმ საჭიროებებსა და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ისინი ყოველდღიურად დგანან, თვლიან, რომ დროა, მათ თავად მიიღონ აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის პროცესში, რომელიც მათი, როგორც ფერმერის მომავალს განსაზღვრავს.

სათათბიროს ორგანოს ფორმირება ა(ა)იპ „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ პარტნიორი ორგანიზაციის „ქეა საერთაშორისო“ აქტიური მხარდაჭერით იმართება, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი ხუან ეჩანოვე, COPA-COGECA-ს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში პროდრომოს კალაიტზისი, ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობის ატაშე საქართველოში კრისტინა კასელა, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასოციაციის წევრები და ფერმერები.

ღონისძიების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური დიპლომებით ახალგაზრდა ფერმერები დააჯილდოვა.

ღონისძიების ბოლოს საერთაშორისო ორგანიზაციის „ოქსფამი-საქართველო“ წარმომადგენლობის ეკონომიკური პროგრამების მენეჯერმა, ლევან დადიანმა, ფერმერთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტმა, ხუან ეჩანოვემ და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ნინო ზამბახიძემ სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე მომზადებული სიუჟეტებისთვის ჟურნალისტები დააჯილდოვეს.

„ნარინჯისფერი რთველი“ 2016

დასავლეთ საქართველოში ციტრუსის სეზონი აქტიურ ფაზაშია. მანდარინი საქართველოს აგრობიზნესისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენს. ქვეყანაში მანდარინი, უმეტესწილად, გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. ძირითადი მწარმოებელი რეგიონებია: აჭარა (76%), გურია (19%) და სამეგრელო და ზემო სვანეთი (4%). მხოლოდ აჭარის რეგიონის ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მეციტრუსეობით დაკავებულია ჯამში 23,000 ოჯახი, რაც აჭარის რეგიონში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 50%-ს შეადგენს.

ქვეყანაში ციტრუსის სასურსათო მოხმარება წელიწადში საშუალოდ 60-70 ათას ტონას შეადგენს, სადაც 80% მანდარინს უკავია. წლების მიხედვით მოხმარება ცვალებადია და ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტულ წელს ადგილობრივი მოსავლის რაოდენობაზე.

მანდარინის მოსავლის აღების აქტიური პერიოდი ნოემბრიდან იწყება და დეკემბრის თვის დასაწყისამდე გრძელდება.

ბოლო წლების განმავლობაში, მეციტრუსეობის სექტორის განვითარების მიზნით, ცენტრალური ხელისუფლებისა და აჭარის ა/რ მთავრობის ერთობლივი მუშაობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა.

2016 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით, ექსპორტირებულია უპრეცედენტო რაოდენობის - 14 000 ტონამდე მანდარინი (გასულ წელს, ანალოგიურ პერიოდში, მანდარინის ექსპორტი 800 ტონას შეადგენდა), უკვე გადამუშავებულია 5500-მდე ტონა არასტანდარტული მანდარინი.

მიმდინარე წელს ქართული მანდარინის ექსპორტი ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და მოლდოვა. 12 დეკემბრის მდგომარეობით, მანდარინის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება: რუსეთი - 52.84 % (7379 ტ.); უკრაინა - 29.43 % (4109 ტ.); სომხეთი - (14.87 % 2076 ტ.); ყაზახეთი - 1.39 % (194 ტ.); ყირგიზეთი - 0.56 % (78 ტ.); უზბეკეთი - 0.55 % (77 ტ.); ბელარუსი - 0.14 % (20 ტ.); მოლდოვა - 0.07 % (10 ტ.); აზერბაიჯანი - 0.01 % (1ტ.) პოლონეთი -0,14% (20 ტ.) (ყოველდღიურად განახლებული ინფორმაცია იხილეთ: citrus.moa.ge/shtabi/2016.html)

2016 წელს, მანდარინის ექსპორტი ევროკავშირის მიმართულებით არ განხორციელებულა, თუმცა მიმდინარე წლის თებერვალში დაფიქსირდა 39 ტონა ლიმონის ექსპორტი გერმანიის მიმართულებით, რომლის ღირებულებაც 217 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

საქართველოდან მანდარინის ექსპორტის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ რაოდენობრივად მანდარინის ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დეკემბერ-იანვარში ფიქსირდება. ფულად გამოსახულებაში კი, ერთი კილოგრამი მანდარინის ექსპორტის ყველაზე მაღალი ფასი თებერვალშია.

ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ციტრუსის სეზონის ორგანიზებულად წარმართვისა და არასტანდარტული ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. აჭარის ა/რ მთავრობის გადაწყვეტილებით, გასული წლების მსგავსად, სახელმწიფო ახორციელებს გადამუშავებული მანდარინის სუბსიდირებას ყოველ ერთ კილოგრამ მანდარინზე 0,1 ლარის ოდენობით. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია შემფუთავ-დამახარისხებელ საწარმოებთან, სადაზღვევო კომპანიებთან, გაფორმების ეკონომიკური ზონის (გეზ) წარმომადგელობასთან, სახმელეთო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო კომპანიებთან, ციტრუსის ტარა მასალის დამამზადებლებთან, სასაწყობე მეურნეობების წარმომადგენლებთან, შესაბამისი მუნიციპალიტეტებისა და სოფლის რწმუნებულებთან, მეციტრუსე ფერმერებთან.

ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების და უკვე არსებულ ბაზრებზე ექსპორტის გაზრდის მიზნით, ცენტრალური ხელისუფლება და აჭარის ა/რ მთავრობა არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ახორციელებს. მათ შორის: 30 ოქტომბერს ჩატარდა ციტრუსის საერთაშორისო ფორუმი და საინფორმაციო ტური, რომელშიც 8 ქვეყნის ციტრუსის ექსპორტიორი 19 მსხვილი კომპანია მონაწილეობდა; შემუშავდა მსხვილი გადამამუშავებელი ქარხნების და მცირე შემფუთავ-დამახარისხებელი საწარმოების ორგანიზებული, კოორდინირებული მუშაობის მოდელი, რაც რეგიონში, ერთი თვის განმავლობაში 20 000 ტონაზე მეტი საექპორტო ციტრუსის წარმოების - ევროსტანდარტების შესაბამისად პარაფინირების საშუალებას იძლევა; რეგიონში ამოქმედდა ახალი, რიგით მეოთხე საწარმო და გაძლიერდა უკვე არსებული მსხვილი შემფუთავ-დამხარისხებელი საწარმოები.

ქვეყანაში მანდარინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, აუცილებელია ქართული ციტრუსის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ადგილობრივი ასორტიმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ადრეული სიმწიფის ყინვაგამძლე, მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვას.

აჭარის ა/რ მთავრობის ინიციატივით, ციტრუსის სექტორის განვითარებისთვის, შემუშავების პროცესშია აჭარის რეგიონში მეციტრუსეობის განვითარების სტრატეგია, რომლის თანახმად, 2017 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის აგროსერვისცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მსხვილ სადედე პლანტაციად გარდაიქმნება, რაც შესაძლებელს გახდის 2017 წელს რეგიონში არსებული ციტრუსის პლანტაციების 100 ჰა ფართობი, ხოლო რამდენიმე წელიწადში 500 ჰა ფართობი ადრეული მსხმოიარობის ციტრუსოვანთა ჯიშებით ჩანაცვლდეს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ნაგომარი“, რომელიც პრემიუმ ხარისხის ჩაის აწარმოებს

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ნაგომარი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში, გასული წლის ივნისში შეიქმნა. მასში 6 მეპაიეა გაერთიანებული. კოოპერატივი პრემიუმ ხარისხის შავ და მწვანე ჩაის აწარმოებს. ცოტა ხნის წინ კი მომხმარებელს ბალახეული ჩაი „კავკასიური მოცვი“ შესთავაზა. „ნაგომარმა“ გასულ წელს 500 კგ მზა პროდუქტი დაამზადა, წელს კი ეს ციფრი 800 კგ-მდე გაიზარდა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ნაგომარი„ ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) გრანტის ფარგლებში 10 ჰა ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციას ახდენს.

„ჩვენი ჩაი უკვე იყიდება დიდ სუპერმარკეტებში - გუდვილსა და ჯორჯიტაში, ასევე, რამდენიმე მაღაზიასა და სასტუმროში. ქართულ ბაზარზე დამკვიდრებისთვის კვლავ აქტიურად ვაგრძლებთ მუშაობას. გვინდა ჩვენი ჩაი გამორჩეულად ცნობადი და მოთხოვნადი იყოს“, - აცხადებს კოოპერატივის თავმჯდომარე ნანა ყირმელაშვილი.

კოოპერატივი „ნაგომარი“ საკუთარი პროდუქციით პრინტის საერთაშორისო ფესტივალშიც „LIFE N STYLE” ჩაერთო, რომელიც უკვე გაიმართა თბილისში, ბათუმსა და ოზუგეთში.

„ვინაიდან ჩემი ცხოვრება ხელოვნებასთან არის დაკავშირებული, მეგობრებთან ერთად წამოვიწყე აქცია „ჩაი და ხელოვნება“, რომელიც ქართული, უფრო ზუსტად კი გურული ჩაის პოპულარიზაციას გულისხმობს. მინდა ჩემი მოსაზრება კოოპერაციაზე და კოოპერატივზე, როგორც ორგანიზაციულ ფორმაზეც გაგიზიაროთ. ვფიქრობ, ძალიან დემოკრატიული და სამართლიანია, კოოპერატივის საშუალებით ყველა მეპაიეს შესაბამისი სარგებლის მიღება შეუძლია. მაგალითისათვის, თუ ერთი მეპაიე აწარმოებს 100 კგ ჩაის, ხოლო მეორე 20 კგ- ს, ერთი მიიღებს 100 კგ-ს შესაბამის სარგებელს, მეორე კი, შესაბამისად, 20 კგ -ის“, - აღნიშნავს ქალბატონი ნანა.

კოოპერატივი თანამშრომლობს იმ ადამიანებთანაც, ვისაც სოფელ ნაგომარსა და მეზობელ სოფლებში ჩაის პლანტაციები აქვთ, თავად კი უცხოეთში არიან სამუშაოდ წასულები და სამწუხაროდ იქაც პლანტაციებში მუშაობენ, „ნაგომარი“ მათ ცოდნისა და გამოცდილების ქართული ჩაის პოპულარიზაციაში გამოყენებას სთავაზობს.

რეგიონული ლაბორატორიების გაძლიერების პროგრამა

ოზურგეთის რეგიონული ლაბორატორია

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია და აგროწარმოების განვითარება, გურიის რეგიონისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ ამოცანად განიხილება. მესაქონლეობა სამივე მუნიციპალიტეტში (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) ფერმერთა და გლეხური მეურნეობების ერთ-ერთი ძირითადი შემოსავალის წყაროა. სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობისა და რეზერვების სრული ამოქმედების პირობებში, მხარეში შესაძლებელია პირუტყვის არსებული რაოდენობის გაორმაგება. რესურსების სრულ მობილიზებაში, ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად გაუმჯობესებული ლაბორატორიული მომსახურება შეიძლება ჩაითვალოს. ეტაპობრივად, ფერმერებისათვის ლაბორატორიული კვლევების სერვისებზე ხელმისაწვდომობა ადგილობრივ, რეგიონულ დონეზე იზრდება. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიული კვლევები აუცილებელია, როგორც ცხოველთა დაავადებების კონტროლისათვის, ასევე ზარალის თავიდან აცილებისთვის. გურიის რეგიონში სამივე მუნიციპალიტეტს (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) ლაბორატორიულ მომსახურებას ოზურგეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია უწევს. რეგიონული ლაბორატორიების გაძლიერების პროგრამის საფუძველზე, ოზურგეთის ლაბორატორიაში, 2012 წლიდან უკვე განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. ოზურგეთის ლაბორატორია, აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ ერთობლივი ბიოლოგიური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო დონის აპარატურითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით აღიჭურვა; მოხდა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ლაბორატორიულ კვლევის მეთოდებზე; ჩატარდა შესაბამისი სწავლებები. პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია აქტიურად მონაწილეობს „ერთიანი ჯანმრთელობის„ პროგრამაში და მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად ჩაერთოს ლაბორატორიულ კომპონენტში. მსგავსი სახის აქტივობები მნიშვნელოვანია გურიის რეგიონისათვის, ვინაიდან საშუალებას იძლევა მოსახლეობამ შესაბამისი დონის სერვისი ადგილზე, დროისა და ფინანსების ნაკლები ხარჯის საფუძველზე მიიღოს.

ბიზნესად ქცეული ოჯახური ტრადიცია

გივი ნინიძე წარმოშობით გურიიდან, სოფელ ვაკიჯვრიდანაა. მშობლიურ გურიაში, ოზურგეთის საავადმყოფოში ექიმის რთული და საპასუხისმგებლო პროფესიით ერთგულად ემსახურება იქაურებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს „შეღავათიანი აგროკრედიტის” შესახებ სატელევიზიო რეკლამიდან შეიტყო და გადაწყვიტა ოჯახური ტრადიცია - თაფლის წარმოება - ბიზნესად ექცია.

როგორც თავად აღნიშნავს, პატარაობიდანვე უნდოდა თაფლის წარმოება დაეწყო, რადგან დიდი ბაბუა მეფუტკრეობა-მეთაფლეობით იყო დაკავებული.

„მეფუტკრეობა კეთილშობილური საქმეა. მთავარია ფუტკარს შეუწყო ხელი, შემდეგ კი, საკუთარი შრომით ქმნის დოვლათს. მცირემეწარმეობაც ასევეა - სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის გარეშე განვითარება უჭირს. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის გარეშე თაფლის წარმოებას მცირე მასშტაბით და მხოლოდ 6-7 წლის შემდეგ თუ შევძლებდი. დღეს კი, უკვე ქართული უნიკალური თვისებების მქონე თაფლის ევროპულ ბაზარზე გასატანად ვემზადები“, - ამბობს გივი ნინიძე.

ბატონი გივი სიამაყით აღნიშნავს, რომ ოცნება აიხდინა და ოჯახის ტრადიცია აღადგინა. 2013 წელს შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა, თავის საქმეში 35,000 აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, რომლიდანაც 30,000 შეღავათიანი აგროკრედიტი იყო.

მომავალ წელს გივი ნინიძე გეგმავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ კიდევ ერთ „**გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტში**“ მიიღოს მონაწილეობა და თაფლის ჩამოსასხმელი/დამფასოებელი საწარმო გახსნას, რითაც მეტი თაფლის წარმოებას და რეალიზაციას შეძლებს.

- რეგიონი/რაიონი: გურია, ოზურგეთი
- სრული ინვესტიცია: 35 000 აშშ დოლარი
- საკუთარი წილი: 5 000 აშშ დოლარი
- შეღავათიანი აგრო კრედიტი: 30 000 აშშ დოლარი
- წარმადობა: წლიურად 400-500 დედა ფუტკრის წარმოება
- სარეალიზაციო ბაზარი: ადგილობრივი

გურიის რეგიონი 2013–2016 წლებში განხორციელებული პროექტები

პროექტების მართვის სააგენტო

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი

პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ფერმერებმა და გლეხებმა სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; პროგრამის ფარგლებში დამზადდა საბანკო ბარათი, ე.წ. „აგრობარათი„.

სამწლიანი პროგრამის განხორციელების შედეგად, პრაქტიკულად მიტოვებულ, ყამირად ქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდათ.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, გურიის რეგიონის ბენეფიციართათვის გამოყოფილი სარგებელი:

2016 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში გურიის რეგიონში განისაზღვრა 49,760 ბენეფიციარი. 2016 წლის 22 ნოემბრის მდგომარეობით, ბენეფიციარებმა მიიღეს 2,886,164 ლარის ღირებულების სარგებელი. დამუშავდა 10,008 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის ფართობი.

2015 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 49,594 ბენეფიციარმა 2,927,824 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღო. ჯამში დამუშავდა 11,208 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2014 წელს, პროექტის ფარგლებში, 49,513 ბენეფიციარმა 4,435,442 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღო. ჯამში დამუშავდა 11,706 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის ფართობი.

2013 წელს, 45,675 ბენეფიციარმა, პროგრამის ფარგლებში, 9,169,488 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღო. ჯამში დამუშავდა 10,889 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

პროექტის მიზანი:

სოფლად მცხოვრები ფერმერებისა და გლეხებისათვის, რომლებიც წლების განმავლობაში, მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებას ვერ ახერხებდნენ, ხვნის პროცესში დახმარება.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 31.10.2016 მდგომარეობით, გურიაში გაიცა:

- საბრუნავი საშუალების მიზნობრიობით

  902,400 ლარის ღირებულების 22 სესხი

  146,982 დოლარის ღირებულების 1 სესხი

- ძირითადი საშუალების მიზნობრიობით

  1,178,350 ლარის ღირებულების 85 სესხი

  7,229,912 დოლარის ღირებულების 33 სესხი

ყველაზე მეტი სესხი გურიის რეგიონში გაცემულია შემდეგი მიზნობრიობით: მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მებაღეობა.

პროექტის მიზანი:

აგროსექტორით საბანკო სისტემის დაინტერესება და მათი პროექტში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რამაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. დღეისათვის შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში 13 ბანკი და 2 სალიზინგო ორგანიზაციაა ჩართული.

პროგრამა დანერგე მომავალი

გურიაში, პროგრამის ფარგლებში, დამტკიცებულია 15 პროექტი. სააგენტოს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 275,249 ლარი. ბაღების გასაშენებელი ფართობი შეადგენს 80 ჰა-ს.

პროექტის ფარგლებში გურიის რეგიონში დაფინანსებული კულტურა არის თხილი, ლურჯი მოცვი, ვაშლი.

პროექტი მიზნად ისახავს:

საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც, განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

აგროდაზღვევის პროგრამა

გურიაში, 2014-2016 წლებში გაცემულია 7,859 პოლისი. დაზღვეულ იქნა 20,988,054 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. სულ დაზღვეულია 2,645 ჰა მიწის ფართობი. ჯამში სააგენტოს სუბსიდიის თანხამ შეადგინა 1,460,154 ლარი.

პროექტის მიზანი:

აგრარულ სექტორში წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა დარგში აგროდაზღვევის კომპონენტის დანერგვას გულისხმობს.

აგროდაზღვევის პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოთა თანადაფინანსების პროექტი

გურიაში, 31.10.2016 მდგომარეობით, დამტკიცებულია 3 პროექტი, ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 2,400,481 აშშ დოლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 960,192 აშშ დოლარი. ასევე, პროექტი ემსახურება სანედლეულო ბაზის განვითარებას.

პროექტის მიზანი:

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა

31.10.2016 წლის მდგომარეობით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გურიაში დამტკიცებულია 4 განაცხადი. ჯამური ფართობი შეადგენს 93 ჰა-ს. პროექტების ჯამური ღირებულება შეადგენს 219,415 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 145,231ლარს.

პროექტის მიზანი:

ჩაის, როგორც აგრარული კულტურის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიოჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა და შედეგად, ქვეყანაში თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

ახალი და გაფართოებული საწარმოები

გურიის რეგიონში გაიხსნა 7 ახალი საწარმო და გაფართოვდა 6 საწარმო.

7 ახალი საწარმო (4 აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 1 აწარმოე საქართველოს ფარგლებში, 2 თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში)

სრული ინვესტიცია - 6,550,739 აშშ დოლარი, საკუთარი წილი - 1,916,196 აშშ დოლარი, შეღავათიანი აგროკრედიტი - 3,845,759 აშშ დოლარი,

გრანტი - 788,784 აშშ დოლარი.

გურიის რეგიონი 2013–2016 წლებში განხორციელებული პროექტები

შპს საქართველოს მეღიორაცია

2012 წლისთვის გურიის რეგიონში დამშრალი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 2 800 ჰექტარს შეადგენდა. 2012 წლიდან დღემდე, რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 5 სარეაბილიტაციო პროექტი, სამუშაოების ჯამური ღირებულებით 2 150 417 ლარი. რეაბილიტაციის ფარგლებში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 83,1 კმ სამელიორაციო არხს.

ტექნიკური ექსპლუატაციის ფარგლებში, 2013-2016 წლებში, გურიის რეგიონში გაიწმინდა და მოწესრიგდა 136 კმ სამელიორაციო არხი. სულ სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 58 ერთეულ სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობას.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, 2016 წლისთვის, გურიის რეგიონში დრენირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 3 300 ჰექტრამდე გაიზარდა.

დღეისათვის, რეგიონში მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 2 110 924 ლარის ღირებულების 5 გარდამავალი სარეაბილიტაციო პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ, დრენირებული მიწის ფართობი 4 220 ჰექტრით გაიზრდება.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ოზურგეთის რეგიონული ლაბორატორია

განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები

- 2012 წლიდან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ინტენსიურად მუშაობს რეგიონულ დონეზე ლაბორატორიული კვლევების სპექტრის გაფართოებაზე, ახალი მეთოდების ვალიდაციასა და აკრედიტაციის სფეროში დამატებაზე;
- გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტს (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) ლაბორატორიულ მომსახურებას ოზურგეთში არსებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია უწევს.

- ლაბორატორიაში დანერგილია და აქტიურად მიმდინარეობს ფუტკრის დაავადებების კვლევაც.

ნიმუშების სტატისტიკა:

- 2013 წელს გამოკვლეულია 279 ნიმუში (მათ შორის, 226 ბრუცელოზზე)
- 2014 წელს გამოკვლეულია 2725 ნიმუში (მათ შორის, 2663 ბუცელოზზე)
- 2015 წელს გამოკვლეულია 1919 ნიმუში (მათ შორის, 1721 ბრუცელოზზე)
- 2016 წლის 11 თვის განმავლობაში გამოკვლეულია 2861 ნიმუში.

დაგეგმილი ღონისძიებები:

- 2017 წელს, მომხმარებელთა მოთხოვნის საფუძველზე დაინერგება წყლის ბაქტერიოლოგიური კვლევები. პერსონალმა უკვე გაიარა სწავლება აღნიშნულ კვლევებზე;
- განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭება ფუტკრის დაავადებების დიაგნოსტირების სპექტრის გაფართოებას;
- ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები ფერმერებთან და სურსათის მწარმოებლებთან; აქტიურად მოხდება დანერგილი მეთოდების არსისა და ტესტირების პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებსა და ბიზნეს-ოპერატორებისათვის;
- ლაბორატორია, კომპეტენციის ფარგლებში, მოახდენს საკონსულტაციო მომსახურებას.

სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისი, ოზურგეთში 2015 წელს აშენდა და ტექნიკურად განახლდა. სამსახურში მუდმივად 16 და ხელშეკრულების საფუძველზე 29 თანამშრომელია დასაქმებული. სააგენტოს სპეციალისტები ღონისძიებებს სურსათის უვნებლობის, მცენარეთა და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ახორციელებენ. ყოველწლიურად ტარდება საკარანტინო მავნებლების საწინააღმდეგო წამლობები და ცხოველთა უფასო პროფილაქტიკური ან სავალდებულო ვაქცინაცია სხვადასხვა ინფექციურ დაავადებაზე. სურსათის უვნებლობის სტანდარტების უზრუნველყოფისთვის, გააქტიურდა სამომხმარებლო ბაზრის, სასწავლო დაწესებულებების კვების ბლოკების, სწრაფი კვების ობიექტების კონტროლი.

ბიზნესოპერატორთა ბაზის სრულყოფის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს „კარდაკარ“ პრინციპით მონაცემების დაზუსტება. დღეისათვის, გურიის რეგიონში, ერთიან ელექტრონულ რეესტრში 412 ბიზნესოპერატორია აღრიცხული. მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოწმებების რაოდენობა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩატარდა 784 ინსპექტირება. გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობებისთვის საწარმოო პროცესი შეუჩერდა 3 ბიზნესოპერატორს, გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო კი 15 დაჯარიმდა.

სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, 676 დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა და დარღვევების გამო 58 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა. ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია და აკრედიტებულ ლაბორატორიებში გამოკვლეულია სურსათის 407 ნიმუში, მათ შორის, სასმელი წყლის 71 სინჯი. 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკების შემოწმება. გურიის რეგიონში ინსპექტირება ჩატარდა 26 სკოლასა და 55 საბავშვო ბაღში. სააგენტოს სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე მიმდინარეობს კვების ბლოკების რეაბილიტაციის პროცესი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომდგენლები რეგიონის მასშტაბით ახორციელებენ მონიტორინგს, როგორ სრულდება ახალი რეგულაციების მოთხოვნები, მათ შორის, რძის და თაფლის ტექნიკური რეგლამენტები. რძისა და რძის ნაწარმის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა 242 ბიზნესოპერატორის დოკუმენტური შემოწმება და გამოვლენილი დარღვევის გამო 3 დაჯარიმდა.

სააგენტოს გურიის სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა თაფლის პირველადი წარმოების 6 ბიზნესოპერატორის დოკუმენტური შემოწმება.

სააგენტოს მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ბიზნესოპერატორების ინფორმირებულობის გაზრდა, განსაკუთრებით ახლადდანერგილ რეგულაციებთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიზნით, მომზადდა და დაიბეჭდა მეფუტკრე ფერმერის გზამკვლევი „ქართული თაფლის გზა ევროპისკენ“, რომელიც სურსათის ეროვნული სააგენტოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით გავრცელდა რეგიონის მოსახლეობაში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მოეწყო შეხვედრები გურიის სურსათის ბიზნესოპერატორებთან - მეფრინველეებთან, ცხოველთა სასაკლაოების, რძის, ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან, მეფუტკრე ფერმერებთან.

რეგიონის ტერიტორიაზე 5 სასაკლაო ფუნქციონირებს, სადაც მიმდინარეობს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვა. მნიშვნელოვნად იზრდება ვეტერინარული ზედამხედველობით ცხოველების დაკვლა, რაც ამცირებს შეუმოწმებელი ხორცის ბაზარზე მოხვედრას.

გურიის რეგიონი
2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტები

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის და ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რეგიონში მიმდინარეობს პროფილაქტიკური და სავალდებულო ვაქცინაცია დაავდებებზე: თურქული, ჯილეხი და ცოფი. მიმდინარე წელს რეგიონში აღინიშნა მსხვილფეხა პირუტყვის დაავადება - ნოდურალური დერმატიტი. დაავადებასთან ბრძოლის მიზნით, სააგენტომ შეისყიდა მაღალი ხარისხის ვაქცინა და რეგიონში მიმდინარეობს უფასო, პროფილაქტიკური ვაქცინაცია.

პარალელურად, ბრუცელოზის გრძელვადიანი პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს სერომონიტორინგი (სისხლის ნიმუშების კვლევა) და იგეგმება ვაქცინაცია.

რეგიონში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებისა და ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლის მიზნით, გრძელდება იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უკვე იდენტიფიცირებულია 80 ათასამდე პირუტყვი.

სააგენტოს მიერ მცენარეთა დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, მინიმუმადე შემცირდა საკარანტინო მავნებლის, ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელება. მავნებლის წინააღმდეგ დამუშავდა: 2012 წელს - 14600 ჰა, 2013 წელს - 40 ჰა, 2014 წელს - 6,7 ჰა, 2015 წელს -130 ჰა, 2016 წელს - 768 ჰა ფართობი.

სურსათის ეროვნული სააგენტო, ჯანდაცვის სტრუქტურებთან ერთად, მეორე წელია რეგიონში ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების (კოღოს) წინააღმდეგ ახორციელებს მასშტაბურ ღონისძიებებს (სააგენტოს მიერ კოღოების წინააღმდეგ 2015 წელს დამუშავდა 202 ჰა, 2016 წელს კი 685 ჰა ფართობი, წყალსატევები და ტყისპირა ზონები).

ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა აკრძალული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ჩამონათვალი, რომლის გამოყენებაც ქვეყნის მასშტაბით აიკრძალა. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ორი წელია არარეგისტრირებული პრეპარატის გამოყენება არ დაფიქსირებულა, თუმცა აღინიშნება ფალსიფიკაციის ფაქტები. 2012 წლიდან აქტიურად ხორციელდება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი, რაც უზრუნველყოფს ფალსიფიცირებული, მოძველებული და უხარისხო პრაპარატებით რეალიზაციის აღკვეთას. ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია 33 ნიმუში. 2014 წელს აღებულია 6 ნიმუში, 2015 წელს - 9, 2016 წელს კი - 18 ნიმუში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

2016 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით, რეგისტრირებულია 1640 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის, გურიის რეგიონში რეგისტრირებულია 56 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში - 28, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - 16, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში - 12.

გურიის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის ძირითადი დარგებია: მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეციტრუსეობა და მეთხილეობა.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამის“ ფარგლებში, გურიის რეგიონში 39 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე გაცემულია 79 აგროკომპლექტი და 4 ხელის სათესი.

გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გაცემული აგროკომპლექტები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი - 18 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის 26 აგროკომპლექტი და 1 ხელის სათესი;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი 11 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის 36 აგროკომპლექტი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი - 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის 17 აგროკომპლექტი და 3 ხელის სათესი.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, გურიის რეგიონში 2 კოოპერატივს მიღებული აქვს 200 სკა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობა:

სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. 2013 წლის 12 ივლისს, ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ„. ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერების მიერ კოოპერატივების შექმნის სტიმულირება ხელს შეუწყობს ფერმერთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბებას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების დანერგვას, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების წახალისებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - ანასეული

გურიის რეგიონში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკუთრებაა ა. ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული„, რომელიც თავისი არსებობისა და საქმიანობის 50 წლიან ისტორიას ითვლის. ცენტრის ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლების მიზნით, მიმდინარეობს სამუშაოები. უახლოეს მომავალში ცენტრი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება და დასავლეთ საქართველოში უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი ბაზა გახდება.

ნიადაგის კვლევების ჩატარების გარდა, ბაზაზე განხორციელდება სურსათის დიაგნოსტიკა, მოეწყობა საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთები ჩაისა და სუბტროპიკული, ასევე, სხვა მრავალწლოვანი და ერთწლოვანი კულტურებისთვის. დაგეგმილია ჩაის სანერგე მეურნეობის მოწყობა, სელექციური ჯიშებისა და კლონების შეგროვება, მცენარეთა გენეტიკური ბანკის შექმნა.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესებისა და გენეტიკური ბანკის შექმნის მიზნით, განხორციელდა:

- სამეცნიერო ექსპედიცია ჰელმინთოზურ დაავადებათა გავრცელების შესწავლის მიზნით. ლანჩხუთის რაიონში კოპროლოგიურად გამოკვლეულია 30 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და რთული ნაჯვარი ღორი. გამოვლინდა ჰელმინთოზური დაავადება, რომელთაგანაც რეგიონში უპირატესად გავრცელებულია პარამფისტომოზი (100%) და ფასციოლოზი (46,7%), ასკარიდოზი და ეზოფაგუსტომოზი. ფერმერებს მიეცათ რეკომენდაციები.
- სახელმწიფო პროგრამის „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით„ ფარგლებში, ტრეინინგები თხილის მოვლა-მოყვანის სრული ციკლისა და ახალი ტექნოლოგიების შესახებ.

აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში:

- ჩატარდა თემატური თეორიული და პრაქტიკული სემინარები
- ჩატარდა თანამედროვე ორგანული და მინერალური სასუქების, მიკროელემენტების შემცველი პრეპარატების გამოყენების საკითხებზე კონსულტაციები;
- დარიგდა 33 დასახელების თემატური ბროშურა;
- დარიგდა ფენოკალენდარული სქემები;

ცოტა რამ ღვინისა და კერძების შეხამებაზე:

წითელი ღვინო უმჯობესია წითელი ფერის ხორცეულთან და პარკოსანი კულტურებისგან მომზადებულ კერძებთან ერთად მივირთვათ. სასურველია, ის შევახამოთ მოხრაკულ ხორცთან, მწვადთან, ყველთან, ლორთან, შაშხთან, ღორის, ხბოს და ცხვრის ხორცთან. წითელ ღვინოებს ძალიან უხდება შებოლილი ყველი.

თეთრი ღვინო კი, ძირითადად, თევზისა და ხორცის თეთრ სახეობებს შეეხამება. თეთრ ნახევრად მშრალ, ან მშრალ ღვინოებს უხდება მარილიანი ყველი. ამ ტიპის ღვინოებისთვის დამახასიათებელი მჟავიანობა კარგად ეწყობა ყველის მარილიანობას, ასევე მშვენიერია მძაფრი არომატის ყველთან. თეთრი ღვინოები კარგად ეხამება ზღვის პროდუქტებს და წვნიანებს.

ცხიმიან, ნოყიერ კერძებთან არომატული, ბლანტი და მაგარი ღვინოები მიირთვით, საშუალო სიმძიმის საკვებს საშუალო სიმაგრის ღვინო უხდება, მსუბუქ კერძებს კი, მსუბუქი ღვინო მიაყოლეთ.

ტკბილ კერძებს არ უხდება მშრალი ღვინოები. ბევრი ტკბილი და ნახევრადტკბილი ღვინო მშვენივრად ეხამება მკვეთრად გამოხატული გემოს მქონე საკვებს.

ვარდისფერი ღვინო კარგია სალათებთან, აღმოსავლურ კერძებთან, ლორთან და ძეხვეულთან.

ცქრიალა ღვინოებთან მისაყოლებლების ასორტიმენტი საკმაოდ ფართოა. ეს შეიძლება იყოს: ხიზილალის ბუტერბროდები, ხილი, ყველი, მსუბუქი სალათები, სუში, კარპაჩო, ზღვის პროდუქტები, თეთრი ხორცისგან დამზადებული კერძები, ბისკვიტები და კენკროვანი ხილი.

მნიშვნელოვანია ღვინის მოხმარების ტემპერატურა:

- წითელი ღვინო (მდიდარი სხვადასხვა არომატით) - 14-დან 16 გრადუსამდე
- წითელი, ვარდისფერი (ნაკლები არომატებით) -10-დან 12 გრადუსამდე
- თეთრი ღვინო (მდიდარი სხვადასხვა არომატით) - 10-დან 12 გრადუსამდე
- თეთრი ღვინო (ნაკლები არომატებით) - 8-დან 10 გრადუსამდე
- ნახევრად-ტკბილი თეთრი ღვინო, შამპანური, ცქრიალა ღვინოები - 6-დან 10 გრადუსამდე.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

ქართული ღვინის ექსპორტის ზრდისა და მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და საქართველოს შიდა პოტენციალის ათვისება, რომელიც ბოთლში ჩამოსხმული ღვინის მოხმარების კულტურის ამაღლებასა და ღვინის ტურიზმის განვითარებას გულისხმობს.

2016 წელს ქართული ღვინის მწარმოებელი ათობით კომპანიის ღვინო და სხვა ალკოჰოლიანი სასმელები წარმოდგენილი იყო აშშ-ში, ჩინეთში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებში გამართულ ღონისძიებებზე.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნულ სააგენტოს მარკეტინგული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აქვს შემუშავებული. შერჩეულია სტრატეგიული ბაზრები - აშშ, ევროპა, დიდი ბრიტანეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთი და ჩინეთი - სადაც მარკეტინგული აქტივობები სახელმწიფოს ხელშეწყობით ხორციელდება.

2016 წლის განმავლობაში გამართული ათეულობით ღონისძიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი აქტივობები:

- ქართული და მათ შორის ქვევრის ღვინის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის ქალაქებში ქართული ღვინის წარდგენა. ღვინის პროფესიონალებს, მოყვარულებს, მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ქართული ღვინო დაეგემოვნებინათ როგორც პარიზში, ორლეანსა და ბლუაში გამართულ დეგუსტაციებზე, ასევე ბუნებრივი ღვინოების გამოფენებზე სომურში „La Dive Bouteille" და ანჟეში „Les Penitentes". ქართველი მეღვინეების განცხადებით, ანჟესა და სომურის ტრადიციულმა გამოფენებმა მათ მნიშვნელოვანი იმპორტიორები შესძინა, რამაც, შესაბამისად, ღვინის ექსპორტის ზრდაც გამოიწვია.
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2015 წელი. წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი ზრდის ტემპები წლის ბოლომდე შენარჩუნდა და 2015 წლის მონაცემებით 122%-ს მიაღწია. ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა 2016 წელსაც და 10 თვის მონაცემებით, 138% შეადგინა. 2016 წლის მეორე ნახევრიდან ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში (რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი) მეორე ადგილი დაიმკვიდრა, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებულმა აქტიურმა ღონისძიებებმა განაპირობა. 2015 წლის ივლისში, პეკინში გაიხსნა ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრი, რომლის ორგანიზებითაც ჩატარდა საგანმანათლებლო სემინარები ქართული ღვინის შესახებ, მოეწყო დეგუსტაციები; ამასთან ერთად, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო ჩინეთში გამართულ ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენაზე; ჩინელი ღვინის პროფესიონალების, მედიისა და მოყვარულებისთვის საქართველოში მოეწყო ღვინის ტურები. ჩინეთში ფუნქციონირებს ქართული ღვინის სახლი, მაღაზია, სალონი, ჩინურ-ქართული კულტურის ცენტრები. 2016 წელს ქართული ღვინო წარდგენილი იყო ჰონგ-კონგში გამართულ „VinExpo 2016" და შანხაიში გამართულ მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაზე „Prowein China 2016". ამასთან ერთად, პეკინში გაიმართა ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე „საქართველო - ღვინის სამშობლო, მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი ტრადიცია", შანხაისა და ჰონგ-კონგში ქართული ღვინის ფესტივალზე ქართული ღვინის მწარმოებელი 9 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოები იყო წარმოდგენილი.
- 2014 წლიდან ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ღვინის გამოფენებსა და დეგუსტაციებზე იაპონიაში. 2016 წელს ტოკიოში კვების პროდუქტებისა და სასმელების 41-ე საერთაშორისო გამოფენაზე „FOODEX JAPAN 2016" და გამოფენაზე „Wine and Gourmet Japan 2016" ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიებიც მონაწილეობდნენ. მსგავსი აქტივობების შედეგად იაპონიაში ქართული ღვინის ექსპორტი 2014 წლიდან იზრდება.
- მნიშვნელოვანია მარკეტინგული აქტივობები პოლონეთში. პოლონეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში სტაბილურად ინარჩუნებს მეხუთე ადგილს. ვარშავაში და სხვა ქალაქებში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციები მთელი წლის განმავლობაში ატარებდნენ სხვადასხვა აქტივობებს ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით. 2013 წლიდან ქართული ღვინის კომპანიები, ღვინის ეროვნული სააააგენტოს ხელშეწყობით, მონაწილეობენ გამოფენაში „EnoExpo".
- ქართული ღვინო მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, ლონდონში გამართულ ნატურალური ღვინის საერთაშორისო გამოფენაში „Real Wine Fair" და „RAW London".
- ქართული ღვინისთვის სტრატეგიულ ბაზრებად რჩება ბალტიისპირეთის ქვეყნები, სადაც ქართული ღვინის წარდგენა მოხდა როგორც დეგუსტაციებზე, ასევე ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში, ბალტიისპირეთის ქვეყნების ყველაზე მასშტაბურ ღვინის გამოფენაზე VYNO DIENOS (ღვინის დღეები), რომლის ფარგლებშიც სპეციალური ღონისძიებაც - „გამორჩეული ღვინოები საქართველოდან" გაიმართა.
- 2016 წელი აქტიური იყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. სააგენტოს კონტრაქტორების ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, სან-ფრანცისკოში და აშშ-ს სხვა ქალაქებში გაიმართა.
- ქართული ღვინის კომპანიებმა 2016 წელს მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში გამართულ მნიშვნელოვან გამოფენებში. მარტში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენაში Pro-Wein-2016 სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ასოციაციის „ქართული ღვინო" და „კახეთის მეღვინეთა გილდიას" მხარდაჭერით ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანია მონაწილეობდა. ნოემბერში კი გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გამართულ RAW Wine fair-ზე ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით 11 ქვევრის ღვინის მწარმოებელი კომპანია მონაწილეობდა, რაც მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს მოიძიონ ახალი იმპორტიორები და გაზარდონ ღვინის ექსპორტი გერმანიაში. ქართული ღვინო წარმოდეგნილი იყო ბერლინში სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის ყველაზე მასშტაბურ და პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენაზე „მწვანე კვირეული 2016" (Gruene Woche 2016).
- ქვეყნის შიგნით განხორციელებული მარკეტინგული აქტივობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე ღონისძიება, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ტარდება, ესენია: ტრადიციული „ახალი ღვინის ფესტივალი", რომელშიც მონაწილეობდა 80-მდე ღვინის კომპანია, ასევე მცირე ოჯახური და საშუალო მარნები; „ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-9 საერთაშორისო გამოფენა „WinExpo Georgia 2016" და „ღვინის დღე". 2016 წლის 22 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე საქართველოში „ღვინის კვირეული" გაიმართა. ქართული ღვინის კვირეული თელავის მუნიციპალიტეტში, იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემია გახსნის საზეიმო ღონისძიებით დაიწყო. ამავე დღეს, ქართული ღვინის კვირეულის გახსნის აღსანიშნავად, თელავში, სახალხო ზეიმი - ღვინის ფესტივალი გაიმართა. ღონისძიებაზე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ფესტივალის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინო დაეგემოვნებინათ. ღვინის კვირეულის ფარგლებში ასევე ჩატარდა: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკაში ქართულ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მონოგრაფიული წიგნების გამოფენა-პრეზენტაცია; თბილისის N1 ღვინის ქარხანაში, საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით, ღვინის ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე"; ქალაქ მარნეულში, როგორც ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის არქეოლოგიურ ცენტრში, ღვინის ფესტივალი; N1 ღვინის ქარხანაში ფილმის - „ვაზში დაკარგულები" კინოჩვენება; კახეთში, მეღვინეთა გილდიის მიერ ორგანიზებული ფესტივალი „თელავინო 2016"; საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებით, ქართული ღვინის მე-3 ეროვნული კონკურსი და სხვა. კვირეული საზეიმოდ 2 ოქტომბერს რიყის პარკში დასრულდა, სადაც ღვინის გამოფენა-გაყიდვა და დამსახურებული მეღვინეების დაჯილდოების ცერემონია მოეწყო.

DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის – გზამკვლევი

აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონსორციუმის მიერ US-AID/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

წარმოდგენილი გზამკვლევი განკუთვნილია სურსათის მწარმოებლებისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტი, ამისთვის კი საკმაოდ მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოუწევთ. გზამკვლევი მოიცავს იმ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც მწარმოებელმა უნდა გაიაროს საკუთარი საქონლის ევროკავშირში შეტანისთვის და, ამავე დროს, ისარგებლოს ნულოვანი საბაჟო დაბეგვრით.

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ გაზეთის წინა ნომრებში)

სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი

სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარს ადგენს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია 396/2005. მისი განსაზღვრებით, საჭიროზე მეტი რაოდენობით გამოყენებული პესტიციდები საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ვინაიდან ზედმეტად გამოყენებული პესტიციდი სურსათში აისახება როგორც ნარჩენი, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს სურსათის მომხმარებლებისათვის.

რეგულაციით დადგენილია მცენარეთა დაცვის საშუალებებით გამოწვეული ნარჩენების მაქსიმალური ზღვრები, რომელიც ვრცელდება მთელ ევროკავშირის ბაზარზე და საერთოა მისი ყველა წევრისთვის.

პესტიციდების ნარჩენები გულისხმობს ნარჩენს,მათ შორის, აქტიურ ნივთიერებას; მეტაბოლიტების, აქტიური ნივთიერებების რეაქტიულ ან/და დანაწევრებულ პროდუქტს, ხოლო მისი მაქსიმალური დასაშვები ზღვარი წარმოადგენს პესტიციდის ნარჩენის დადგენილ კონცენტრირებულ/ერთობლივ დონეს საკვებში ან საკვებზე.

თუ რეგულაციით გათვალისწინებული სურსათი, რომლისთვისაც დადგენილია მაქსიმალური დასაშვები ზღვრები, არ აკმაყოფილებს განსაზღვრული ნარჩენების მაქსიმალურ ზღვარს, მაშინ ის არ შეიძლება განთავსდეს ევროპის ბაზარზე. ასევე დაუშვებელია მისი გადამუშავება ან განზავების მიზნით შერევა იმავე ან სხვა სურსათთან. თუ არ არის განსაზღვრული კონკრეტული მაქსიმალური ზღვარი, ან არის დადგენილი აქტიური ნივთიერება, მაშინ იგი შეადგენს 0,01 მგ. - ს 1 კგ. სურსათში.

პირველადი წარმოების სექტორში,მოსავლის აღების შემდგომ, დასაშვებია სურსათის ფუმიგანტებით დამუშავების შედეგად აქტიური ნივთიერების ზღვრული დონის გადაჭარბება, თუ ასეთი სურსათი არ იქნება მოხმარებული მოკლე დროში. ამას გარდა, უნდა არსებობდეს კონტროლის სქემა, რომ ასეთი სურსათი არ მიეწოდოს საბოლოო მომხმარებელს მანამ, სანამ ნარჩენების დონე არ მოექცევა დადგენილ ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია წევრი ქვეყნებისა და ევროკომისიის ინფორმირება.

თუ გადამუშავებული და განზავებული სურსათისთვის არ არის დადგენილი ზღვარი, მაშინ ეს იგივეა, რაც ნედლეულისათვის, იმის გათვალისწინებით, რა ცვლილებებსაც განიცდის პესტიციდების ნარჩენები გადამუშავებისას და განზავებისას.

პესტიციდების ნარჩენების სახელმწიფო კონტროლი

სახელმწიფო კონტროლის განხორციელება პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვრის მიმართ არის სავალდებულო ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნისათვის. ასეთი კონტროლი უნდა მოიცავდეს ნიმუშების აღებას და კვლევას. კვლევის დროს უნდა დადგინდეს პესტიციდის სახეობა და მისი შესაბამისი ნარჩენის დონე სურსათში. ასეთი კონტროლი, ასევე, შეიძლება ხორციელდებოდეს მომხმარებლებისთვის სურსათის მიწოდების ადგილებში.

ევროკავშირის ყველა ქვეყანამ, სახელმწიფო კონტროლის ადრე განხორციელებული პროგრამების შედეგების გათვალისწინებით, უნდა აიღოს საკმარისი რაოდენობის ნიმუშები, რათა შედეგები განზოგადდეს მთელი ბაზრის მიმართ. ლაბორატორიები, რომლებიც ახორციელებენ პესტიციდების ნარჩენების ანალიზს,უნდა მონაწილეობდნენ ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ შესაბამისობის დადგენის ტესტირებაში.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ ყოველწლიურად განახლებადი მრავალწლიანი კონტროლის პროგრამა პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებით, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს რისკის შეფასების კრიტერიუმებზე.

პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის სახეობის მიხედვით

სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის ცალკეული სახეობისთვის, რომელიც განსაზღვრულია რეგულაციის დანართი I-ით, დადგენილია ცალკეული აქტიური ნივთიერების მიხედვით. შესაბამისად, დანართით გათვალისწინებული ინფორმაცია არის მატრიქსული და კომპლექსური, რომელიც ანბანის მიხედვით დალაგებული აქტიური ნივთიერებებისთვის ადგენს კონკრეტული სურსათის სახეობის ან მისი ჯგუფის დასაშვებ ზღვრულ ნორმას.

იმის დასადგენად, თუ პესტიციდების ნარჩენების რა ზღვრული ნორმებია დაშვებული, მაგალითად, ვაშლისათვის, გამოყენებული უნდა იყოს რეგულაციის დანართები II და III. ყველა განსაზღვრული აქტიური ნივთიერებისთვის ნარჩენების ზღვრული დონე დადგენილია 1 მგ-ის ოდენობით 1 კგ-ზე. ვაშლისათვის დადგენილი პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური ზღვრული ნორმა, 457 აქტიური ნივთიერების მიმართ, იხილეთ ამ დოკუმენტის დანართ 3-ში.

იმის გათვალისწინებით, რომ თავად რეგულაცია არის საკმაოდ კომპლექსური და მასში შეტანილია მრავალი ცვლილება, რეკომენდებულია, რომ ბიზნეს ოპერატორებმა გამოიყენონ ევროკომისიის პესტიციდების ბაზა, რომელიც მოიცავს რეგულარულად განახლებად ინფორმაციას სურსათის სახეობების, პესტიციდების ნარჩენებისა და მათი მაქსიმალური ზღვრული დონეების შესახებ. ამასთან, ბაზა საშუალებას იძლევა, საჭირო ინფორმაციის ადვილად მიკვლევადობის მიზნით, მონაცემები გაიფილტროს როგორც სურსათის სახეობების, ასევე პესტიციდების აქტიური ნივთიერებების მიხედვით.

ევროკავშირის პესტიციდების ბაზა განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

http://ec.europa.eu/sanco_pesticides

საბაჟო და სატარიფო რეგულაციები

რა შეიცვლება საბაჟო პროცედურებში?

DCFTA ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო სისტემაში ევროკავშირში მოქმედი სისტემის მსგავსი საბაჟო პროცედურების დანერგვას. მიზანი საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნაა, რომელიც საქართველოს მეწარმეებს მისცემს საშუალებას მინიმუმამდე შეამცირონ დანახარჯები საქონლის ექსპორტისას.

მთლიანობაში, პროცესი ოთხწლიანია და მას საქართველოს მთავრობა ეტაპობრივად განახორციელებს, კერძოდ:

2016 წლიდან ძალაში შევა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ კოდექსთან, ხოლო 2016-2017 წლებში მიიღება მეორადი კანონმდებლობა.

ტრანზიტის საბაჟო პროცედურისას, საქართველოს საბაჟოს მიერ გაცემული სატრანზიტო დოკუმენტაცია და გარანტია იმოქმედებს როგორც ევროკავშირში, ისე შვეიცარიაში, ნორვეგიასა და თურქეთში. გადამზიდავები ვალდებულნი აღარ იქნებიან, განმეორებით მოიპოვონ გარანტია ან ტრანზიტის ქვეყნის საბაჟოსთვის გააფორმონ დამატებითი დოკუმენტები საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანიდან დანიშნულების ადგილამდე.

იმ შემთხვევაში, თუ საზღვარზე შეიქმნება სადავო სიტუაცია, ევროკავშირის საბაჟო სტრუქტურები გაატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მოხდეს საქონლის დროული გაშვება, ხოლო გადასახდელების გადახდა გადავადდება და დაექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ გადახდის უზრუნველმყოფელ ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში, საქონლის გაშვებისათვის ბიზნესოპერატორმა უნდა წარადგინოს გარანტია, როგორიცაა თავდებობა ან დეპოზიტი.

აღარ იქნება სავალდებულო საბაჟო ბროკერების გამოყენება, გადაზიდვის წინა შემოწმების ან დანიშნულების ადგილზე შემოწმების ჩატარება.

მოსაკრებლებისა და გადასახდელების დაკისრება მოხდება მხოლოდ იმპორტიორის მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ის მოითხოვს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო პირობების, საათებისა და ადგილებისაგან განსხვავებული პირობებით მომსახურების გაწევას. ამ შემთხვევაში, მოსაკრებლებისა და გადასახდელების ოდენობა არ გადააჭარბებს მიწოდებული მომსახურების ხარჯებს. გამოთვლა არ განხორციელდება ადვალორულ პრინციპზე დაყრდნობით, ანუ არ იქნება დაკავშირებული საქონლის საინვოისო ღირებულებასთან. ახალი სახით დაწესება არ მოხდება მანამ, სანამ აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ არ გამოქვეყნდება.

საბაჟო ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა იქნება 3 წელი, ნაცვლად 6 წლისა.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, 2016 წლისთვის დაინერგება „უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის“ ინსტიტუტი. აღნიშნული სტატუსი მიენიჭება საქართველოს ექსპორტიორებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ პირობებს. მისი საშუალებით, ისინი ნაკლები კონტროლის გარეშე უფრო სწრაფად და იაფად მოახერხებენ ევროკავშირში ექსპორტისას საბაჟო პროცედურების განხორციელებას. კრიტერიუმები ამჟამად შემუშავების პროცესშია და საბოლოო სახით, სავარაუდოდ 2016 წელს გახდება ცნობილი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ისინი საკმაოდ მკაცრი იქნება. აღნიშნული სტატუსის მიღებისთვის, იარსებებს შემდეგი ზოგადი პირობები:

ბიზნესოპერატორმა უნდა აწარმოოს კომერციული და სატრანსპორტო დოკუმენტაციის სრული აღრიცხვა და ბოლო 3 წლის განმავლობაში მას არ უნდა ერიცხებოდეს საბაჟო/საგადასახადო დარღვევა.

DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის – გზამკვლევი

ბიზნესოპერატორმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაადასტუროს გადახდისუნარიანობა და არ უნდა იყოს გაკოტრების რეჟიმში.

ბოლო 3 წლის განმავლობაში მის ანგარიშზე არ უნდა ირიცხებოდეს საგადასახადო ან საბაჟო დავალიანება.

ექსპორტიორს უნდა გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, რასაც დაადასტურებს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციით (საბანკო ამონაწერით, აუდიტორული შემოწმების დასკვნით და სხვა).

ბიზნესოპერატორი და მისი ინფრასტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს საბაჟოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტებს. მაგალითად, საწყობი, რომელიც არ კონტროლდება საბაჟო ორგანოების მიერ, უნდა იყოს საიმედოდ დაცული. აღნიშნული წინაპირობა ყოველი სექტორისთვის განსხვავებულია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომ ბიზნესოპერატორი, სტატუსის მიღების თაობაზე განაცხადის გაკეთებამდე, შემოსავლების სამსახურისგან მიიღებს ინფორმაციას მის სფეროში არსებული უსაფრთხოების სტანდარტების თაობაზე.

უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის სერთიფიკატი ბიზნესსუბიექტზე გაიცემა ზემოთმოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით მისი კომპანიის სრული აუდიტის შემდეგ. მისი მიღების შემთხვევაში, ექსპორტიორი გაცილებით სწრაფად და მარტივად გაივლის საბაჟო პროცედურებს, ნაკლები ფიზიკური და დოკუმენტური კონტროლის ხარჯზე, ხოლო იმპორტის დროს ტვირთის ფიზიკური დათვალიერების შესახებ წინასწარ მიიღებს შეტყობინებას.

თუ საზღვარზე დადგება ტვირთის ფიზიკური შემოწმების აუცილებლობა, უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორი ჩადგება უპირატეს მდგომარეობაში. მას, ასევე მიეცემა შემოწმების ადგილის არჩევის შესაძლებლობა.

რა შემთხვევაში გათავისუფლდება საქართველოში წარმოებული პროდუქცია საბაჟო გადასახადისგან?

DCFTA-ს ყველაზე მთავარი შედეგი არის ის, რომ საქართველოში წარმოშობილი საქონელი ევროკავშირში შესვლის დროს თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. თუმცა არსებობს რამდენიმე ასპექტი, რომლებსაც ექსპორტიორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ.

საქართველოს ექსპორტიორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პროდუქციის ნაწილზე ევროკავშირის მიერ დაწესებულია ე.წ „შესვლის ფასი„, ანუ ეს პროდუქტები ექვემდებარება საბაჟო გადასახადის გადახდას გარკვეულ პირობებში. აღნიშნული რეგულაცია, საქართველოს შემთხვევაში, ეხება მხოლოდ 28 დასახელების საქონლის ჯგუფს,რომელის ცხრილიც მოცემულია ქვემოთ:

ჩამოთვლილი პროდუქტების ევროკავშირში შეტანისას იმპორტიორი გადაიხდის საბაჟო გადასახადს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში წარმოშობილი პროდუქციის საინვოისო ღირებულება ევროკავშირის მიერ დადგენილ ფასზე დაბალი იქნება. თუ ეს ფასი დაწესებულ ზღვარზე მაღალია, პროდუქცია თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისგან. ასევე, აღსანიშნავია, რომ ადვალორული გადასახადი საქართველოსთვის გაუქმებულია.

ე.წ. „ბაზარზე შესვლის ფასს„, სტატისტიკურ ნომენკლატურას და ერთიან საბაჟო ტარიფს განსაზღვრავს ევროკომისიის რეგულაცია (EU) 927/2012, სადაც მოცემულია თითოეულ პროდუქტზე არსებული ზღვრები და შესაბამისი საბაჟო გადასახადი სეზონების მიხედვით.

გადამამუშავებელი სექტორისთვის რელევანტურია მხოლოდ ყურძნის წვენი, ვინაიდან შესვლის ფასის პრინციპი, ძირითადად, პირველად პროდუქტებს ეხება.

(გაგრძელება იხილეთ მომდევნო ნომერში)

28 დასახელების საქონლის ცხრილი

№	საქონელი	სასაქონლო კოდი
1.	პომიდორი (ახალი ან გაცივებული)	07020000
2.	კიტრი (ახალი ან გაცივებული)	07070005
3.	არტიშოკი (ახალი ან გაცივებული)	07099100
4.	ყაბაყი (ახალი ან გაცივებული)	07099310
5.	ფორთოხალი ტკბილი (ახალი)	08051020
6.	კლემენტინები	8052010
7.	მონრეალი და სატსუმა	08052030
8.	მანდარინები და ვილკინგები	08052050
9.	ტანჟერინები	8052070
10.	ტანჟერინები, ortaniques და malaquinas ციტრუსის ჰიბრიდები	08052090
11.	ლიმონი (Citrus limon, Citrus limonum)	08055010
12.	სუფრის ჯიშების ყურძენი (ახალი)	08061010
13.	ვაშლი (ახალი, გარდა 16 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე)	08081080
14.	მსხალი (ახალი, გარდა ჰერი (მსხლის სიდრი) ნაყარი სახით 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე)	08083090
15.	გარგარი (ახალი)	08091000
16.	მჟავე ალუბალი (Prunus cerasus, ახალი)	08092100
17.	ბალი (ალუბლის გარდა, ახალი)	08092900
18.	ნექტარინები (ახალი)	08093010
19.	ატამი (ნექტარინების გარდა, ახალი)	08093090
20.	ქლიავი (ახალი)	08094005
21.	ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით არა უმეტეს 30-ისა 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18 €-ზე მეტი შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით)	20096110
22.	ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 67-ზე მეტი 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 22 €-ზე მეტი შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით)	20096919
23.	ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 30-ზე მეტი 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18 €-ზე მეტი, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით)	20096951
24.	ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 30-ზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ 67-ისა 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18 €-ზე მეტი შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა კონცენტრირებულისა და სპირტის შემცველობით)	20096959
25.	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, კონცენტრირებული 22-ე თავის მე-7 დამატებითი შენიშვნის შესაბამისად, სიმკვრივით 1,33 გ/სმ^3 ან ნაკლები 200° C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 1 მოც.%-ისა (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით)	22043092
26.	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, არაკონცენტრირებული, სიმკვრივით 1,33 გ/სმ^3 ან ნაკლები 200° C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 1მოც.%-ისა და არანაკლებ 0,5 მოც.%-ზე ნაკლები (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით)	22043094
27.	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, კონცენტრირებული 22-ე თავის მე-7 დამატებითი შენიშვნის შესაბამისად, სიმკვრივით 1,33 გ/სმ^3-ზე მეტი 200°C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 1 მოც.%-ისა და 0,5 მოც.%-ზე ნაკლები (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით)	22043096
28.	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, არაკონცენტრირებული, სიმკვრივით 1,33 გ/სმ^3-ზე მეტი 200° C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 1მოც.%-ისა და 0,5 მოც.%-ზე ნაკლები (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით)	22043098

საქართველო – ევროკავშირი

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1992 წლიდანვე იწყება, როდესაც ევროგაერთიანებამ საქართველო აღიარა როგორც სუვერენული სახელმწიფო და მხარი დაუჭირა მთელი რიგი ინსტრუმენტების მეშვეობით. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად ღრმავდებოდა. აღნიშნულ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან დაიწყო, როდესაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქართველო აქტიურად აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას, რაშიც ევროკავშირი როგორც ექსპერტულ, ასევე ფინანსურ დახმარებას აქტიურად გვიწევს.

საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას ხშირად სუფთა წყალი მხოლოდ გრაფიკით მიეწოდება, ხშირ შემთხვევაში კი დაბინძურებული სახით. აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა რეგიონული განვითარების პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მეორე პროექტი, რომელსაც ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს. პროექტის საშუალებით, საქართველოს მასშტაბით, ონკანებში უკვე რეგულარულად მოდის წყალი, სახლებსა და ბიზნეს კომპანიებს სუფთა წყალი მიეწოდებათ, უმჯობესდება საცხოვრებელი სტანდარტები და ხელი ეწყობა რეგიონულ განვითარებას.

ევროკავშირმა ამ პროექტისთვის ჯამში 48 მილიონი ევრო გამოყო, საიდანაც 8 მილიონი - სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმის გრანტია, ხოლო დანარჩენი 40 მილიონი ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერაა გამოყოფილი. ფინანსები მთლიანად მოხმარდება მუნიციპალური წყლების კეთილმოწყობის გასაუმჯობესებელ და სარემონტო სამუშაოებს.

წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტი რეალურად გულისხმობს 2018 წლისთვის საქართველოს 23 ქალაქში წყალმომარაგების გამართვასა და წყლის ხარისხის გაუმჯობესებას. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უკვე განხორციელდა 16 აღდგენითი პროექტი საქართველოს 17 ქალაქში, ხოლო ექვსმა ქალაქმა - გურჯაანმა, ონმა, ახალციხემ, ასპინძამ, თეთრიწყაროს და ოზურგეთმა - უშუალოდ მიიღო სარგებელი პროექტიდან. თუმცა აღსანიშნავია, რომ პრექტის ამ ეტაპზე ონი წარმოადგენს პირველ ქალაქს, სადაც მოსახლეობის 100% იღებს სასმელ წყალს 24 საათის განმავლობაში.

წყარო: http://infocenter.gov.ge/501-evrokavshiris-roli-regionebis-tsylith-momaragebis-aghdgenith-samushaoebshi.html

EUROPEAN NEIGHBOURHOOD PROGRAMME FOR AGRICULTURE AND RURAL DEVELOPMENT

რჩევა ფერმერისთვის – ციტრუსის მოყვანის ტექნოლოგია

ციტრუსოვნები (Citrus)

მეციტრუსეობა საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი კომერციული დარგია. ციტრუსოვანთა ნაყოფი მდიდარია ნახშირწყლებით, მჟავებით, ორგანულ მჟავათა მარილებით, პექტინოვანი ნივთიერებებით და ვიტამინებით.

ციტრუსოვანთა გვარში შემავალი სახეობებიდან, საქართველოში ფართო სამრეწველო მნიშვნელობა მანდარინს, ფორთოხალს და ლიმონს აქვს. რაც შეეხება სხვა სახეობებს - გრეიფრუტს, ციტრონს და პომპელმუსს, მათ ნაკლებად კომერციული მნიშვნელობა აქვთ და ერთეული ნარგაობის სახითაა გაშენებული.

ციტრუსებისათვის ნიადაგის შერჩევა

ციტრუსების გასაშენებლად ადგილის შერჩევისას საჭიროა გავითვალისწინოთ მიკროკლიმატური პირობები (რელიეფი, ადგილმდებარეობის სიმაღლე, ზღვიდან დაშორება). ამასთან ერთად, უნდა ვიცოდეთ ზამთრის პირობებისადმი კულტურათა ცალკეული სახეების, ჯიშების შეგუების შესაძლებლობები.

ციტრუსოვანი კულტურებისათვის საუკეთესოა ჰუმუსით მდიდარი წითელმიწები, ნეშომპალა-კარბონატული, ყომრალი ყვითელმიწა, სუსტი გაეწრებული და ალუვიური ნიადაგები.

ციტრუსების გასაშენებლად ნიადაგი მზადდება დარგვამდე ერთი ან ორი წლით ადრე. შერჩეული ნაკვეთები უნდა გათავისუფლდეს ბუჩქებისაგან, მათი ფესვები ამოიძირკვოს და ნაკვეთის ზედაპირი მოსწორდეს. ნიადაგის მომზადებისას, უნდა შევიტანოთ ფოსფოროვანი სასუქი 500 კგ/ჰა-ზე დამუშავების მთელ სიღრმეზე. ამის შემდეგ, უნდა დაითესოს წინამორბედი კულტურები (სიდერატები, მარცვლოვნები). მესამე წელს, დარგვის წინ, ვაკე და ფერდობ ადგილებზე (150-მდე დაქანებისას) ეწყობა ნიადაგის მთლიანი დამუშავება 45-50 სმ სიღრმეზე, ხოლო 15-300-მდე დაქანებულ ფერდობებზე ეწყობა ტერასები.

ციტრუსოვანი კულტურების სარგავი მასალის გამოყვანა

ციტრუსოვანთა ნერგების გამოყვანა ხდება სპეციალურად მოწყობილ სანერგე მეურნეობებში, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. ნერგი უნდა იყოს იმუნური და ახასიათებდეს ჯიშის მემკვიდრული ნიშან-თვისებები.

პოლიეთილენის პარკებში ციტრუსოვანთა ნერგების გამოყვანის ტექნოლოგია, გრუნტში გამოყვანასთან შედარებით, შემდეგი უპირატესობით ხასიათდება: ნერგების რეალიზაცია-დარგვა მუდმივ ადგილზე შეიძლება ჩატარდეს წლის ყველა პერიოდში; ფესვთა სისტემის მთელი მასა დაუზიანებლად შენარჩუნებულია და ნერგის გახარების უნარი იზრდება 100%-მდე. მანდარინისა და ფორთოხლისათვის სტანდარტულ ნერგებს უნდა ჰქონდეთ 15-20 სმ; ლიმონის ნერგებს 10-15 სმ სიმაღლის შტამბი 2-3 ძირითადი გვერდული ტოტი.

ნაკვეთის დაგეგმვა და ნერგების დარგვა

ვაკე ადგილებსა და 15 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე მთლიანი დამუშავებისას, მცენარეები ირგვება სწორკუთხოვნად. მანდარინისა და ლიმონისათვის მცენარეთა შორის მანძილი 2-2,5 მეტრი, ფორთოხლისათვის და გრეიფრუტისათვის 3-3,5 მეტრი, მწკრივთაშორის მანძილი 4-5 მეტრია. მანდარინის ნაგალა ფორმებისათვის კვების არე შესაძლებელია 2x3 მ-მდე შემცირდეს. ასეთი განლაგებისას, ერთ ჰექტარზე ეტევა: მანდარინი უნშიუ 1000 ძირი, ფორთოხალი 750-800 ძირი, მეირის ჯიშის ლიმონი 1200 ძირი, საადრეო-ნაგალა მანდარინი 2000 ძირი. ტერასებზე მცენარეთა შორის მანძილი ჰორიზონტალურად განლაგებულ მწკრივებში დაახლოებით იგივეა.

ციტრუსოვანთა ნერგი მუდმივ ადგილზე შემოდგომაზე 20 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე ირგვება, გაზაფხულზე 25 მარტიდან აპრილის ბოლომდე. დარგვის წინ, მონიშნულ ადგილებში ამოიღებენ ორმოს (30-40 სმ), მასში შეაქვთ 10-12 კგ გადამწვარი ნაკელი ან ტორფნაკელიანი კომპოსტი, სუპერფოსფატი 50 გრამი. მჟავე ნიადაგებში სასურველია დამატებით შეტანილ იქნას 1 კგ დეფეკაციური ტალახი. დარგვის წინ, თუ ნერგი ღია გრუნტშია გამოყვანილი, ფესვებს წინასწარ ამოავლებენ წუნწუხში, ასწორებენ ორმოში დასარგავად და მიწას მოაყრიან; თუ ნერგი პოლიეთილენის პარკებშია გამოყვანილი, დარგვის წინ ფრთხილად შემოაცილებენ აპკს, ნერგს მიწის კომით მოათავსებენ ორმოში, შემოაყრიან მიწას, მოტკეპნიან და მორწყავენ, სასურველია მულჩირება. თითოეული ნერგი აიკვრება ჭიგოზე.

ნიადაგის დამუშავება და განოყიერება

ფერმერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ გაშენების პირველ ორ წელს, ციტრუსოვანი ნარგაობის ორმეტრიანი ზოლი (თითო მეტრი მცენარის ორივე მხარეზე), სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, მუშავდება 3-4 ჯერ და იმულჩება მცენარეული მასით. რიგთაშორის დარჩენილ 2-3 მეტრიან ზოლებში ითესება ზაფხულის და ზამთრის სიდერატები, ასევე შესაძლებელია ამ ზოლის ბუნებრივი ბალახებით დატოვება.

ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით, ახალგაზრდა ბაღებში ნაკელი ან ტორფკომპოსტი ერთ ხეზე შეაქვთ: 1-5 წლამდე 15-25 კგ, 10 წლისა და მეტი ხნის ბაღებში 30-40 კგ. შეტანის ვადაა შემოდგომა-ზამთარი, ნიადაგის მსუბუქი დამუშავებით. მინერალური სასუქებიდან შეაქვთ აზოტი, წმინდა საკვები ელემენტის მიხედვით 1-3 წლამდე 30-40 გ, 4-5 წლამდე 60-80 გ, 6-8 წლამდე 100-150 გ, ათი წლის ზემოთ 200-250 გ ყოველ წლიურად, ხოლო 6 წლის შემდეგ, ოთხ წელიწადში ერთხელ, 250 გ სუფთა ელემენტის სახით ერთ ხეზე. კალიუმი 1-5 წლამდე 50 გ, 6 წელზე ზევით, ყოველ 2 წელში ერთხელ, 100-120 გ სუფთა ელემენტი ერთ ხეზე.

თუ ნიადაგის მჟავიანობა იზრდება, საჭიროა პერიოდულად მოკირიანება. კირი შეაქვთ გადაბარვისას გაცვლითი მჟავიანობის მიხედვით 15 სმ სიღრმეზე. მიკროელემენტებიდან, ნიადაგისა და მცენარის ანალიზის საფუძველზე გამოიყენება თუთია, მანგანუმი, ბორი. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ბაზარზე შემოვიდა ორგანო-მინერალური სასუქები, რომელთა გამოყენებაც ნიადაგს ანოყიერებს და ამდიდრებს მიკროორგანიზმებით, ორგანიკით და სხვა საკვები ელემეტებით. შესატანი დოზა 500-1000 კგ/ჰა-ზე.

საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონებში ციტრუსოვანი კულტურები განიცდიან წყლის დეფიციტს, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც ადგილი აქვს ყვავილების წარმოქმნას და ნასკვების განვითარებას. ასეთ პირობებში, როგორც ვაკე, ისე ფერდობ ადგილებში რეკომენდებულია დაწვიმებით მორწყვა, გამაგრილებელი მორწყვა და წვეთური მორწყვა. მორწყვის ყველა სახე იძლევა მაღალ ეფექტს. მოსავლიანობა იზრდება 30-40%-ით. გვალვების პირობებში, ციტრუსოვანთა ბაღებში ასევე რეკომენდებულია ორგანული და მცენარეული მულჩის გამოყენება, ნიადაგის ფხვიერ მდგომარეობაში ყოფნა.

ციტრუსოვანთა გასხვლა – ფორმირება

ციტრუსოვანთა ვარჯის ფორმირება სანერგეში იწყება და გრძელდება პლანტაციაში. დარგვიდან მე-2-3 წელს პირველი ზრდის ყლორტები ისხვლება 30-40 სმ სიმაღლეზე. მსხმოიარე ბაღებში, მთელი ვეგეტაციის მანძილზე, სასურველია ძლიერად მზარდი ყლორტების 1/2-1/3-ით დამოკლება, რადგან ვარჯი ზედმეტად არ ჩახშირდეს. ხეების გასხვლას ატარებენ გაზაფხულზე, როდესაც აშკარად ჩანს ზამთრით გამოწვეული დაზიანებები.

გასხვლის დროს უნდა გვახსოვდეს: მანდარინის მცენარეები ძირითად მოსავალს იძლევიან გასული წლის მეორე ზრდის ნაზარდებზე, ხოლო მცირე ნაწილი - მიმდინარე

წლის პირველი ზრდის ყლორტებზე. ფორთოხალი და გრეიფრუტი ნაყოფს უმთავრესად ივითარებს მიმდინარე წლის გაზაფხულის პირველი ზრდის ყლორტებზე, ლიმონი მეიერი კი, ნაყოფებს იძლევა სანაყოფე ნაზარდებზე, რომლებიც წარმოიქმნება მიმდინარე წლის ზრდის ყლორტებზე. განსაკუთრებით საჭიროა ლიმონის ზრდის რეგულირება მთელ სავეგეტაციო პერიოდში, ძირითადი ყლორტების წვეროების წაკვეცით (პინცირებით). გასხვლის შედეგად დაგროვებული ნარჩენი მასა უნდა შეგროვდეს, გატანილ იქნას ბაღიდან და დაიწვას. უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად, რეკომენდებულია ყვავილებისა და ნასკვების ნორმირების მეთოდის გამოყენებაც.

ციტრუსოვანთა მავნებლები, დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

მავნებლების და დაავადებების მიერ ციტრუსოვანთა კულტურებზე მიყენებული ზარალი, ბრძოლის ღონისძიებების ჩაუტარებლობის შემთხვევაში, 20 დან 50 %-მდე იზრდება.

ციტრუსოვანთა ნარგავების ძირითადი მავნებლებია: ციტრუსოვანთა ფრთათეთრა, ციტრუსოვანთა ბეწვიანი, წითელი და ვერცხლისფერი ტკიპები, ჩხირისებრი (იაპონური, ყავისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი), მძიმისებრი ფარიანები, იაპონური და ჩინური ცვილისებრი, წაგრძელებული ბალიშა და რბილი, ზღვისპირა, ვაზის ფქვილისებრი, ავსტრალიური ღარებიანი ცრუფარიანები, ნარინჯოვანთა ბუგრი, მარმარილოს ღრაჯა, ფოთოლხვევიები, კალიები, მახრა და მავთულა ჭიები.

ციტრუსოვანთა უმთავრესი დაავადებებია: მალსეკო (ხმალა), გომოზი, ციტრუსების ბაქტერიული ნეკროზი, ანთრაგნოზი, მეჭეჭიანობა, ნაცრისფერი სიდამპლე, ფესვის სამხრეთული სიდამპლე.

ცხრილში N1 მოცემულია ბრძოლის ღონისძიებები. მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ სავეგეტაციო პერიოდში ქიმიური მეთოდის გამოყენებისას ტარდება ოთხჯერადი შესხურება ინსექტიციდის+ფუნგიციდის, აკარიციდებისა და ზეთის კომბინირებული ნაზავით.

ცხრილი N1

პრეპარატი	მასალის ხარჯი 1ჰა-ზე	შესხურების ვადა
ინსექტიციდი შერპა+ფუნგიციდი სპილენძის ქლორჟანგი+ზეთი-პრეპარატი 30	1ლიტრი 4 ლიტრი 2 ლიტრი	პირველი წამლობა გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებამდე
აკარიციდი ნეორონი+ინსექტიციდი შერპა+ფუნგიციდი სპილენძის ქლორჟანგი	1 ლიტრი 1 ლიტრი 4 ლიტრი	მეორე წამლობა ივნის-ივლისში
აკარიციდი ნეორონი+ ინსექტიციდი შერპა	1 ლიტრი 1 ლიტრი	მესამე წამლობა აგვისტოს ბოლოს
აკარიციდი ნეორონი+ინსექტიციდი შერპა+ ფუნგიციდი სპილენძის ქლორჟანგი+ზეთი პრეპარატი 30	1 ლიტრი 1 ლიტრი 4 ლიტრი 2 ლიტრი	მეოთხე წამლობა შემოდგომაზე-სექტემბერ-ოქტომბერში

ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდიდან ცრუფარიანების კერებში ხდება კრიპტოლემუსისა და როდოლიის გაშვება. მრავალწლოვანი სარეველების წინააღმდეგ ციტრუსოვანთა ახალგაზრდა ბაღებში იყენებენ ჰერბიციდებს.

ციტრუსოვანთა მოსავლის აღება

მანდარინი უნდა მოიკრიფოს მაშინ, როდესაც კანის 2/3 დამახასიათებელ ყვითელ ფერს მიიღებს. მანდარინის კრეფის ვადები ჯიშებისა და რეგიონების მიხედვით ცვალებადია. საადრეო ჯიშები კოვანო ვასე და ქართული საადრეო იკრიფება ოქტომბრის მეორე ნახევრიდან, საგვიანო ჯიშები (უნშიუ) ნოემბრის თვეში. რეგიონების მიხედვით, აფხაზეთსა და სამეგრელოში მანდარინი 10-15 დღით ადრე მწიფდება, ვიდრე აჭარა-გურიაში. ფორთოხალი იკრიფება ნოემბრის ბოლოს და დეკემბერში. ლიმონის ნაყოფის კრეფა, მიუხედავად მისი კანის შეფერილობისა, დასაშვებია მაშინ, როდესაც ის მიაღწევს სტანდარტულ სიმსხოს (50მმ) და წვნიანი გახდება. ნაყოფის კრეფა წარმოებს მშრალ ამინდში, სპეციალური ნაყოფსაჭრელი მაკრატლით. მოკრეფილი ნაყოფი ფრთხილად ეწყობა ყუთებში.

აგროკლიმატური რისკები და ციტრუსოვანთა მოსავლიანობა

ციტრუსოვანთა ნარგაობისათვის აგროკლიმატური რისკებიდან შესაძლებელია დასახელდეს:

1. ზამთრის ყინვები

ციტრუსოვანთა კულტურები ყინვებისადმი განსაკუთრებულ მგრძნობიარობას იჩენს. ლიმონისთვის დამღუპველია -8-9^{0}C; მანდარინისათვის -11-12^{0}C; ფორთოხლისათვის და გრეიფრუტისათვის -9-10^{0}C. ძლიერი ყინვებისგან დასაცავად მიმართავენ ფესვის ყელთან მიწის შემოყრას 30-35-სმ სიმაღლეზე. ასევე გამოიყენება მცენარეთა შეფუთვა, გაზით გათბობა-შებოლება და სხვა ღონისძიებები.

2. საგაზაფხულო წაყინვები

რადიაციული წაყინვები განპირობებულია ნიადაგის ზედაპირის ინტენსიური გაციებით მოწმენდილ-წყნარ ღამეში. ნიადაგის ზედაპირზე წარმოიშობა ტემპერატურის ინვერსია. ტემპერატურა -2-4^{0}C-მდე ეცემა. წაყინვების დადგომის სეზონია აჭარა-გურიაში 20 აპრილიდან 5 მაისამდე, სამეგრელო-აფხაზეთში - 15 აპრილიდან 1 მაისამდე. ზიანდება

ახალგაზრდა ყლორტები, სანაყოფე კვირტები. წაყინვების საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებაა შებოლება (ნამჯა, თივა, ძველი საბურავები და სხვა).

3. სეტყვა

სუბტროპიკულ ზონაში სეტყვის საშიშროება იშვიათი მოვლენაა, თუმცა არის ერთეული შემთხვევები გახაფხულსა და შემოდგომაზე, როდესაც სეტყვა სერიოზულ ზიანს აყენებს ახალგაზრდა ყლორტებს, ასევე ტექნიკურ სიმწიფეში მყოფ ნაყოფებს. სეტყვით დაზარალებულ მცენარეებსა და ნაყოფებს უტარდებათ პრეპარატებით წამლობა.

4. ხანგძლივი გვალვები

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, ყოველ მე-2-3 წელს დაფიქსირებულია საგაზაფხულო და საზაფხულო გვალვები. გვალვების ხანგრძლივობა 30-50 დღეა. ნიადაგში ტენის ძლიერი დეფიციტი იწვევს ნასკვების და ნაყოფების მასიურ ცვენას, ფოთლების ჭკნობას და ხმობას. ასეთ პირობებში მაღალეფექტიანი ღონისძიებაა მორწყვა.

5. უხვთოვლიანობა

ტენიან სუბტროპიკებში უხვთოვლიანობა ხშირი შემთხვევაა. რეგიონებისა და ზონების მიხედვით თოვლის საბურველის სიმაღლე 0,30-1,5 მ-მდე მერყეობს. შესაძლებელია ერთი დღე-ღამის განმავლობაში 1 მეტრი სისქის თოვლიც კი მოვიდეს. დიდთოვლიანობა იწვევს ხეების მექანიკურ დახლეჩვა-დაზიანებას, აძლიერებს ყინვების მოქმედებას. საჭიროა, დროულად გათავისუფლდეს მცენარეები თოვლისაგან.

6. ეროზია, მეწყერული მოვლენები, წყალდიდობები

საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ნალექების არათანაბარი განაწილება ქმნის ეროზიისა და მეწყერული მოვლენების განვითარების საშიშროებას. განსაკუთრებით შემოდგომა-ადრე გაზაფხულზე, უხვი ნალექებისა და თოვლის დნობის პერიოდში, ადგილი აქვს ზვავებს, მეწყერებს, ნიადაგის ეროზიას, წყალდიდობას. ციტრუსოვანთა ბაღები, რომლებიც აღნიშნული მოვლენების ზემოქმედების ქვეშ მოხვდებიან ძლიერ ზიანდებიან ან მთლიანად ნადგურდებიან. აღნიშნული უარყოფითი ქმედებების სალიკვიდაციოდ, საჭიროა პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.

უნდა გახსოვდეთ: ციტრუსოვანთა ბაღებში მაღალხარისხოვანი სტანდარტული ნაყოფების მიღება შესაძლებელია მხოლოდ აგროტექნიკური ღონისძიებების სრულ-ყოფილად გატარების შემთხვევაში. რომელიმე ერთი ღონისძიების უგულებელყოფაც კი შესაძლებელია გახდეს მოსავლის მთლიანი განადგურების, ან მცენარის გახმობის მიზეზიც კი. თუ აგროტექნიკის რომელიმე რგოლი დაირღვა, ფერმერები მიიღებენ არასტანდარტულ ნაყოფებს, რომლის რეალიზაცია გართულდება და ფერმერთა შემოსავლებიც შემცირდება.

ღორის ხორცის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

მეღორეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია, რომელსაც მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში მისდევს. ღორი მალმწიფადი, მაღალპროდუქტიული ცხოველია, რომლის ხორცი და მისგან მომზადებული პროდუქტები მაღალი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი კვების რაციონში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში მეღორეობის დარგის განვითარებას ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა.

განასხვავებენ ადგილობრივი ღორის კახურ, სვანურ და რაჭულ პოპულაციებს, რომელთაგან ყველაზე უკეთ შესწავლილი და გავრცელებული კახური პოპულაციაა, ვინაიდან მოვლა-შენახვის უფრო მარტივ პირობებს მოითხოვს. კახური ღორის ხორცი კარგი გემური თვისებებით და ზომიერი ცხიმიანობით გამოირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ მეღორეობა საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, ძირითად მწარმოებელ რეგიონებს იმერეთი, სამეგრელო, კახეთი და ქვემო ქართლი წარმოადგენს. ქვეყანაში მეღორეობის დიდი ფერმების სიმცირეა და დარგი ძირითადად, მცირე ფერმერული მეურნეობების დონეზეა წარმოდგენილი.

საინვესტიციო შესაძლებლობები

- მაღალპროდუქტიული ჯიშების მიწოდება
- ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება
- საკვების წარმოება
- კომბინირებული საკვებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება
- თანამედროვე ღორის ფერმების ჩამოყალიბება
- სასაკლაო ინფრასტრუქტურის შექმნა და მომსახურების მიწოდება
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდება
- სასაკლაოსთვის განკუთვნილი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მიწოდება
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიწოდება
- პროდუქციის შესაფუთი მასალების წარმოება

წარმოება წლების მიხედვით (ტონა)



იმპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



წარმოება რეგიონების მიხედვით (2015 წელი)



იმპორტი თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები (2015 წელი)



საცალო საბაზრო ფასები (ლარი/კგ) თვეების მიხედვით (2015 წელი)



საქართველოში მოსავლიანობის პროცენტული წილი სხვა ქვეყნების მოსავლიანობასთან მიმართებაში		
სომხეთი	აზერბაიჯანი	ევროკავშირი
43%	67%	39%

წყარო: საქსტატი

ფინანსური მაჩვენებლები	
ღორების რაოდენობა (ფერმა)	500 სული
საწყისი საინვესტიციო კაპიტალი	1 000 000 ლარი
უკუგების პერიოდი	მე-5 წელი
IRR (8 წელი)	18 %

წყარო: საქსტატი